



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№15 (929) ბაზოფის 1998 წლიდან

06-12.05.2021

2

რუსულან ტყეშელაშვილი

როგორ მოვემზადოთ უცხოური ენის გამოცდისთვის



ერთიანი ეროვნული გამოცდები 2021

მარტივად გაუგებთ ოკლანდერს, თუ მზად ხართ სიმაართლის მოსასმენად



ინტერვიუ ფსიქოლოგ მზიკო დალაქიშვილთან

4

ბაკა ყიფიანი

მოექცევი მოსწავლეებს ისე, როგორც თავად გსურს, მოგექცნენ, როცა გასწავლიან

თანამედროვე მოსწავლეს ესაჭიროება დინამიური, ჰიპოთეზური მიხედვითი სკოლა, რომელიც ეახება აჩვენებს ბავშვს, რომ სწავლისთვის დასახვედრი დრო ახლა დაეახვედრი. საინტერესო ჰიპოთეზები, საინტერესო მინაწიხი და მიზნობრიობის ჩვენება ემახა იმისთვის, რომ მოსწავლე „გაგითანამშობდეს“.

როლანდ სოჯანაშვილი

33-წლიანი მოლოდინის შემდეგ ერკეთს თანამედროვე სტანდარტების სკოლა აქვს



5

ლალი ჯალაძე

ბარანტი მომხმარებლის კოზისიიდან შექმნელის როლში გადასასვლელად



✓ უტა კილასონია

✓ ანა კინწურაშვილი

✓ სიალა ჭიხვარია:

ახალი სკოლა მიგაყვას ცოტათი მაინც შეაჩეხებს, ხადგან ეს დიდი სტიმულია. ჩვენგან სხვაგან გადასული ხამდენიმე ბავშვი უკვე მოძიუნდა. მთელი ეს წლები ისე ვიყავით, სკოლაში უზოც ახ გვექონდა, მაგჩამ გავუქვით და გადავიტანეთ. მთელი ბედნიეეება ისაა, რომ ახალი სკოლაში უზო გვექნება, მშვენიეეი სპოტიეეი ეომპლეუსით.

✓ თანგიო ოსაფაიშვილი:

მშობელსაც და მოსწავლესაც იქ უჩიუნიათ, სადაც უკეთესი პირობებია... ხაეი აშენდა ახალი სკოლა, ვფიქრობ, აღახ გაუჩნდებათ სუევილი, დატოვონ მშობლიეეი სკოლა.

აზიტირინტოთა დანასაგარაბლად

როგორ მოვემზადოთ უცხოური ენის გამოცდისთვის



რუსუდან ტყემალაძე
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი

დღეს გვსაუბრებით უცხოური ენის გამოცდის სტრუქტურაზე, ფორმატზე და მოცემთ გარკვეულ რეკომენდაციებს, რომლებიც დაგეგმვით, უფრო წარმატებით ჩააბაროთ ეს გამოცდა.

პირველ რიგში, მინდა ვთქვა, როგორია ტესტის სტრუქტურა. ჩვენი ტესტის სტრუქტურა არ შეცვლილა, როგორც იყო შარშან, ისეთივეა წელს – არის 8-დავალბიანი ტესტი, სადაც გვაქვს: 2 – მოსმენის დავალბა, 4 – წაკითხულის გააზრების, რომელშიც შედის, ინტეგრირებულია, გრამატიკის და ლექსიკის გამოცდა და 2 – წერის დავალბა. აქვე მინდა ვთქვა, რომ ოთხივე ენაში, ეს არის: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული, სტრუქტურა ზუსტად იდენტურია და ტესტები ერთმანეთს ტყუპისცალივით ჰგავს. ამიტომ, რაზეც ამ წერილში ვისაუბრებთ, არ გეგონოთ, რომ მხოლოდ ერთ ენას – ინგლისურს – ეკუთვნის.

ზოგად რეკომენდაცია – სანამ გამოცდაზე გახვალთ, უნდა ძალიან კარგად გაეცნოთ ტესტის სტრუქტურას, უნდა იცოდეთ რამდენი დავალბაა, როგორ ფასდება თითოეული, როგორი სახის დავალბებია, ანუ ინსტრუქციებია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ იცოდეთ დავალბების სახე, ინსტრუქცია, რადგან გამოცდაზე ამას დრო არ უნდა დახარჯოთ. ამის საშუალებას მოგცემთ კრებული, რომელიც ძალიან გულსისყურით და დეტალურად მოამზადა ჩვენმა ჯგუფმა და რომელიც განთავსებულია ცენტრის საიტზე. კრებულში ძალიან კარგი სა-ვარჯიშოებია თქვენთვის, ასევე არის ტესტის ნიმუში. ასე რომ, ძალიან გთხოვთ, ეს კრებული კარგად დამუშაოთ.

უცხოური ენის ტესტი არ არის ხანგრძლივი, ორსაათ-ნახევარი გრძელდება, არ არის გრძელი ტესტი, ადეკვატურია დრო და შინაარსი, მაგრამ თქვენ უნდა იყოთ ძალიან ყურადღებით, რომ დროს არ გადააჭარბოთ, შეღავათი, ამ შემთხვევაში, არ გექნებათ. ვნუხვარ, მაგრამ ფაქტია და ეს არის ჩვენი ცენტრის ერთ-ერთი წესი, რომ, როგორც კი ამოიწურება დრო, მაშინვე ჩამოგართმევენ შეფასების ფურცელს, ამიტომ ყურადღებით იყავით, მიაღწევთ თვალი დროს და როდესაც სახლში ნიმუშებზე ვარჯიშობთ, აუცილებლად გედოთ საათი და გაითვალისწინეთ დრო.

ჩვენი ტესტის დონე ცნობილია, რომ არის B1, ეს არის ევროკავშირის მიერ დამტკიცებული ენის ცოდნის დონეების საშუალო დონე. რასაკვირველია, ამ ტესტის შედეგისას, დავეყრდნობით (ეს ყოველთვის ასე იყო) განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. ხშირად გვეკითხებიან – თუ მე ეს ტესტი ჩავაბარე, ეს ნიშნავს, რომ მაქვს B1 დონე? რასაკვირველია – არა. ეს ტესტი ამა სირთულის, მაგრამ თუ თქვენ უბრალოდ გადალახავთ ან საშუალო ქულას მიიღებთ, არ თქმა უნდა, B1-ს არ ფლობთ. B1-ს ფლობენ მხოლოდ ის აბიტურიენტები, ვინც ძალიან მაღალ ქულას მიიღებენ.

რაც შეეხება ცალკეული დავალბების რეკომენდაციებს, როდესაც ამ რეკომენდაციებზე ვმუშაობდით, გაითვალისწინეთ თქვენი შეკითხვები, ღია კარის დღეებზე დასმული, ასევე ის შეცდომები, რომელსაც უშვებთ ამ ტესტში. ამის გათვალისწინებით მინდა მოგაწოდოთ თქვენთვის სასარგებლო რეკომენდაციები.

ჩვენი ტესტი იწყება მოსმენის დავალბით. მოსმენის ორი დავალბაა, ორივე შემთხვევაში დახურული სახის, უნდა აღნიშნოთ სწორი პასუხი, რაც, ერთი მხრივ, იოლი საქმეა, მაგრამ მეორე მხრივ, მოსმენა არ არის მაინც და მაინც იოლი უნარი ენობრივი. ამიტომაც, ძალიან გთხოვთ, მოსმენისას გაითვალისწინოთ სამი რამ – ერთდროულად, უსმენთ ტექსტს, ეკრანზე უყურებთ დავალბებს და კითხვობთ. რადიკალურად გაერთიანებულია სამი უნარი ენობრივი, თუმცა, მთლიანი დატვირთვა მანაც მოსმენაზე გადადის. პირველი დავალბა არის 5 პატარა ტექსტი, თითოეული, დაახლოებით, ერთი წუთი გრძელდება და თქვენ უნდა უპასუხოთ ორ შეკითხვას. როგორც ვთქვი, მიაღწევთ თვალყურს, როგორც ეკრანზე რა ხდება, ასევე რა გესმით. თუ, დაუშვავთ, ისე მოხდა, რომ რაღაც ვერ გაიგეთ, დიდხანს ნუ გაჩერდებით ამ საკითხზე, რადგან, როგორც კი თქვენ რაიმე საკითხზე გაჩერდებით, შემდეგი წავა, მოსმენა მანაც გრძელდება და თქვენ გაგიჭირდებათ, მიაღწევთ თვალყურს. ნუ შეშინდებით, ეს არ არის რთული დავალბა, განსაკუთრებით პირველი, თქვენ გაქვთ საშუალება, ეს დავალბა და ყველა, ორივე მოსმენის დავალბა, ორჯერ მოისმინოთ. ჩვენ მიერ ძალიან კარგად არის გათვალისწინებული პაუ-

ზები, ისეთი ინტერვალები, რომლებიც დაგეგმვით წინასწარ წაკითხვით მოსმენის დავალბა, რომ კარგად გაიზროთ. როგორც გითხარით, არის მეორე მოსმენა, ასე რომ, ძალიან მშვიდად შეხვდით მოსმენის დავალბას.

ძალიან ხშირად გვეკითხებიან, როგორია ჩანაწერის ხარისხი. მინდა ვთქვა სრულიად სანდოდ, რომ ხარისხი ძალიან კარგია. ჩვენ უცხოელებს ვინც ვთქვამთ ჩვენს პატარა ჩანაწერ სტუდიაში, იქვე ვინერთ, ვამონტაჟებთ და სრულად ვიცავთ იმ უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც სჭირდება მოსმენის დავალბას. თუ თქვენ მოუსმენთ ჩვენს მოსმენის დავალბას (კრებულში გვაქვს ჩადებული სავარჯიშოებიც და ტესტიც, ასევე შარშანდელი ნიმუშები, 6 ტესტი დევს ჩვენს საიტზე, ძალიან მდიდარი მასალაა), დარწმუნდებით, რომ ძალიან კარგი, უნაკლო ხარისხია. მეორე მხრივ, თუ თქვენს ოთახში ცუდი აკუსტიკა ან რაღაცამ შეგიშალა ხელი მოსმენაში, წელს გვექნება იმის საშუალება, რომ თავიდანვე (და არა ტესტის შუაში) იყოს პატარა ტესტი ქართულად და თუ რაიმე ხარვეზია, უთხრათ თქვენს დამკვირვებელს, რომ ცუდად ისმის და ტექნიკოსი მაშინვე დაარეგულირებს. თუმცა, არ მინდა ამით შეგაშინოთ, ეს ალბათ არ მოხდება, მაგრამ მაინც გქონდეთ ეს ინფორმაცია.

მოსმენის მეორე დავალბა არის გრძელი ტექსტი, დაახლოებით, 2-2.5 წუთი გრძელდება და უფრო რთულია, რადგან თქვენ იმ 8 დავალბას უნდა მიყვებით, წაკითხვით, თან ამას ყველაფერს უნდა უსმინოთ და სწორი პასუხი მოიწონოთ. სამი არჩევითი პასუხია, არა ოთხი, საქმეს ესეც გიიოლებთ და ისიც, რომ უნდა მოიწონოთ და არ დაწეროთ, რაც თქვენთვის შედარებით იოლია ტექნიკურად. საერთოდ, ჩვენი ტესტი ძალიან ახლოსაა კარგ საერთაშორისო ტესტების სტანდარტთან უცხოურ ენაში, რადგანაც დაბალანსებულად გვაქვს მოცემული სამი უნარ-ჩვევა, სამი უნარი ენობრივი, ეს არის: მოსმენა, წაკითხვის გააზრება და ბოლოს – ორი წერა. გვეკითხებიან, ხომ არ დამატება ლაპარაკი, მინდა დაგამაგვიფიქროთ, რომ ლაპარაკი, ჯერჯერობით, ჩვენს ტესტს არ დამატება, რადგან ეს ტექნიკურად ძალიან რთულად შესასრულებელია და სანამ ამას დავამატებდით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ძალიან მაღალ დონეზე ჩავატარებთ. ასე რომ, ეს გამოვირიცხოთ და ამაზე საუბარი აღარ იყოს.

შემდეგ ოთხ დავალბას – მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე – ჩვენ ვაერთიანებთ, ასე ვთქვათ, ერთ ჯამში ვყრით, ერთი ქუდის ქვეშ – წაკითხულის გააზრება. ძალიან მნიშვნელოვანი უნარია, როდესაც ადამიანი ტექსტს კითხულობს, კარგად გაიგოს რა არის ძირითადი აზრი, რა არის დეტალები და ფაქტები, სწორედ ამაზე შეკითხვები ორიენტირებული. მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ჩვენ არასოდეს არც ერთი დავალბა საიდანადაც არ გადმოგვაქვს და არ ვსვამთ ტესტში. ერთ დავალბას – ტექსტს უკეთდება, დაახლოებით, 40 რედაქტირება, ჩვენ მიერ და ასევე უცხოელი კონსულტანტების მიერ. ეს ძალიან შრომატევად პროცესია, გათვალისწინებთ მოთხოვნის დონეს და თქვენს შესაძლებლობებს, რა თქმა უნდა, მოთხოვნის პროგრამას, ასე ვთქვათ.

დავუბრუნდით ამ ოთხ დავალბას, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე არის სუფთა წაკითხულის გააზრება. ვირჩევთ, ძალიან სწრაფად გადათვალისწინოთ ტექსტი, მერე დაუბრუნდით შეკითხვებს და უკვე გაითვალისწინოთ რა წერია შეკითხვაში და ზუსტად ის ინფორმაცია მოძებნოთ ტექსტში, რასაც შეკითხვა ითხოვს – პასუხი შეკითხვაზე ან რომელ აბზაცშია მოცემული ესა თუ ის დავალბა.

რაც შეეხება მეხუთე დავალბას, ეს არის ლექსიკის დავალბა – თითოეული სიტყვის ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვამონტაჟებთ, აუცილებლად უკავშირდება კონტექსტს, კონტექსტუალურად არის აუცილებელი მისი გაგება და არა ლექსიკურად, როგორც ლექსიკონშია განმარტებული სიტყვის მნიშვნელობა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ კონტექსტი. ამიტომაც ჩვენ ამ დავალბაზე ვამბობთ, რომ ეს არის ლექსიკა კონტექსტის გავლით, ანუ კითხვის უნარის გავლით და ყოველი სიტყვა, რომელიც გამოტანილია, თქვენ უნდა ჩასვით გამოტოვებულ ადგილას. ესეც დახურული სახის კითხვაა, ტექნიკურად მარტივი გასაკეთებელია, მაგრამ ვიმეორებ, რომ სიტყვის მნიშვნელობის გარდა, კარგად უნდა გაეცნოთ მოცემულ კონტექსტს.

შემდეგია მეექვსე დავალბა, რომელსაც ჩვენ ასე ვწოდებდით, – გრამატიკა კონტექსტში და არა იზოლირებულად გრამატიკული წესების ცოდნა. ოთხივე უცხოურ ენაში ძალიან მნიშვნელოვანია წინდებული, კავშირი, არტიკლი... მოგეხსენებათ, რომ ეს ევროპული ენებისთვის დამახასიათებელი ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტებია და ამიტომაც ჩვენ სუფთად გრამატიკულ ცოდნას ვამონტაჟებთ, ისეც და ისეც, კონტექსტუალურად, აი, ამ „პატარა სიტყვების“ ცოდნით – ნაცვალსახელი, კავშირი, არტიკლი..., რომლებიც ოთხივე ენაში შეიძლება ოდნავ განსხვავებული იყოს. ეს პატარა სიტყვები პასუხების ფურცელში უკვე უნდა დაწეროთ და არა – ჩასვათ. ეს ოდნავ უფრო რთულია, რადგან დაწერის დროს ადამიანი ხშირად უშვებს ორთოგრაფიულ შეცდომას. მაგალითად, თუ თქვენ კავშირს „and“ ინგლისურში დაწერთ e-თი და არა a-თი, რაც არ უნდა ამტკიცოთ აპელაციაზე, რომ მე სწორად მეწერაო, შეცდომად ჩაგეთვლება და ეს დავალბა განწირული იქნება, რომ 0 ქულით შეფასდეს.

რაზეც აქამდე ვისაუბრე, ყველაფერი ფასდებოდა 1 ქულით – მოსმენა, სწორი პასუხი – 1 ქულა, წაკითხულის გააზრება, სწორი პასუხი – 1 ქულა. გადავიდეთ შედარებით რთულ დავალბებზე, რომლებთან დაკავშირებითაც, მინდა კარგი რეკომენდაციე-



როგორია უცხოური ენაზე ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები?

ზოგჯერ აბიტურიენტები იყენებენ დაშვებულ ფრაზებს, რომლებიც ყველა ტექსტს შესაძლოა მოერგოს. როგორც წესი, ასეთი ფრაზები დეკლავტურად არ პასუხობს კონკრეტულ დავალბას. აქედან გამომდინარე, არ ფასდება ხოლმე ნაშრომი მაღალი ქულით.

წალს თუ იძნება რაიმე სახის ცვლილება უცხო ენის გამოცდაზე? ასევე რამდენ სიტყვიანი სჯოვს რომ იყოს ეს და რას გვიჩვენებთ იმისათვის, რომ ამ დავალბაში მაღალი ქულა მივიღოთ?

უცხოური ენის ტესტში სიახლეები გასულ წელს შევიდა, შესაბამისად, წელს ამის საჭიროება არ ყოფილა, რადგან ტესტი სტრუქტურულად საკმაოდ დაბალანსებულია. უცხოური ენის ტესტი მოსმენის ორი დავალბით იწყება, რომელიც შედგება 5 მოკლე და ერთი შედარებით ვრცელი ტექსტისაგან. დავალბების მოსმენა ხდება ორჯერ. ჩვენი რეკომენდაციაა: თუ შეკითხვაზე გაგიჭირდათ პასუხის გაცემა პირველი მოსმენით, გადადით მომდევნო კითხვაზე და მეორე მოსმენისას გაეცით მას პასუხი. ელემენტარულად კრებულებით, რომლებშიც კარგად ჩანს, თუ როგორ უნდა შესარულთ დავალბები. აბიტურიენტებმა ასევე აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ არ დაწერონ პასუხების ფურცელზე სახელი და გვარი, ან რაიმე მადეფინიციური ნიშანი – ამ შემთხვევაში დავალბა არ გასწორდება.

ესეში სიტყვების რეკომენდებული რაოდენობაა 120-150. შეგიძლიათ ამაზე ცოტა მეტიც დაწეროთ, მთავარია, არ გადასცდეთ ამ დავალბებისათვის გამოყოფილი სივრცე, რადგან შესაძლოა დასკანერების დროს თქვენი ნაწერი მოიჭრას. შინაარსის მხრივ ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად ზუსტად და პირდაპირ პასუხობთ მოცემულ დავალბას. არ არის საჭირო ზოგადი დაზეპირებული ფრაზების ხშირად გამოყენება. მთავარია, პირადი აზრი გასაგებად და არგუმენტირებულად გადმოცეთ.

რაზე გვიჩვენებთ ყურადღების გამახვილებას მიეძმსა დავალბაში (TASK 6)?

ამ დავალბაში ძალიან მნიშვნელოვანია, ყურადღება გაამახვილოთ კონტექსტზე, ასევე იმაზე, რომ ჩასამელი სიტყვა სწორად დაწეროთ. მართლწერის შეცდომის შემთხვევაში, პასუხი არ შეფასდება.

რამდენად ეძმვა ყურადღება ლმსიკის მარაგს, რთული წინადადებაის გამოყენების გამო შესაძლებელია უფრო მაღალი შეფასების მიღება?

დაიხ, თუ მაღალი ქულის მიღება გასურთ, სასურველია, მაქსიმალურად ხშირად გამოიყენოთ რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებები და შესაბამისი მაკავშირებელი სიტყვები. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია, არ დაწეროთ დაზეპირებული, შაბლონური ფრაზები. ნაწერში უნდა ჩანდეს ის, თუ რამდენად შეუძლია აბიტურიენტს აზროვნება შესაბამის ენაზე და ასევე, მისი პირადი დამოკიდებულებები ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

კონტარგუმენტები თუ დაგმირდება ინგლისური ენის თმვაში?

კონტარგუმენტების გამოყენება არ მოგეთხოვებათ და ამიტომ აუცილებლობა არ არის – ორი ლოგიკური არგუმენტის მოყვანაც საკმარისი იქნება.

უცხოური ენის მოსმენის დავალბასთან დაკავშირებით აბიტურიენტები ზოგჯერ პრეტენზიას გამოთქმამენ, რომ ჩანაწერი კარგად არ ისმის. რამდენად შესაძლებელია, რომ ეს პრობლემა დეკანდელ აბიტურიენტებსაც გვქონდეს?

მოსმენის დავალბების ჩასაწერად ცენტრი იწვევს ინგლისურენოვან სპეციალისტებს. ხმის ჩანერა ხდება სპეციალური აპარატურით მაღალ დონეზე და ჩანაწერი, როგორც წესი, არის ძალიან ხარისხიანი. ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ ჩვენს გვერდზე გამოქვეყნებულ მოსმენის დავალბების ჩანაწერებს მოუსმენთ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აბიტურიენტმა ჩათვალა, რომ მოსმენის დავალბების გამო პრობლემა შეექმნა (ნებისმიერი მიზეზით), დაუყოვნებლივ, ტესტის დაწყებისთანავე

პროფესია პედაგოგი

მოქალაქე მოსწავლეებს ისე, როგორც თავად გსურს, მოგეხსნენ, როცა გასწავლიან

რუბრიკის სტუმარია როლანდ ხოჯანაშვილი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ გაზარულის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი



– გაგვეცანი...

– ვარ მოქალაქე, ბედნიერი დღეებში. ვცხოვრობ იმერეთის პატარა, ლამაზ, მწვანე სოფელში, უკვე 28 წელია ვასწავლი მშობლიურ სკოლაში, ასევე ვმუშაობ ერთ-ერთ მედიკოსო-დინგში ბლოგერად და ჟურნალისტად და კიდევ, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტად ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. მიყვარს სოფლის მეურნეობა და მოგზაურობა.

– როდის გადაწყვიტეთ პროფესიული ცხოვრების სკოლასთან დაკავშირება და რას ნიშნავს თქვენთვის პროფესია მასწავლებელი?

– ჩემი პროფესიული არჩევანი ემოციური ფონით გადაწყდა. ადრე, როცა გამოცდებს სკოლაშივე ვაბარებდით, წერილობით და ზეპირად, ორი ელემენტარული შეცდომის გამო ქართულ ენასა და ლიტერატურაში „4“ დამინერეს, რამაც გამაბრაზა (მაშინ ძალიან მიჭირდა ემოციის მართვა) და გულში ვთქვი გაცეცხლებით: „დავამტკიცებ, როგორც სპეციალისტიც გამოვალ ქართულის“. მართალი ვიყავი, ბევრად უკეთ ვსწავლობდი გეოგრაფიას, ბიოლოგიას, ქიმიას, ისტორიას, მათემატიკას, მაგრამ ეს არჩევანი გავაკეთე მაშინ და არც წამივია. არავის იმხელა ასპარეზი არ აქვს სკოლაში, რამდენიც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს. შესაძლოა, ტენდენციურადაც მოგეჩვენოთ ჩემი მოსაზრება, მაგრამ... თვითშეფასების პირველი მკაცრი კონტროლი უნივერსიტეტის დასრულებიდან ერთ წელში გავიარე. 1993 წელს გავედი ტესტირებაზე და მაქსიმალური ქულაც ავიღე. თუ არ ვცდები, ერთადერთი ვიყავი საქართველოში, ვინც ასე „პატარა“ ასაკში შეძლო პირველი კატეგორიის დაუფლება... ამან თვითრწმუნა შემიძინა და ვთქვი, რომ ცხოვრების გეოგრაფია არაფერს ნიშნავდა! მასწავლებელი ყველგან უნდა იყოს პროფესიონალი. ჩემთვის ეს პროფესია ნიშნავს შრომის მოყვარეობას და პროგრესირების უწყვეტ დეკლარაციას...

თანამედროვე მოსწავლეს ესაჭიროება დინამიკური, პროექტზე ორიენტირებული სკოლა, რომელიც კარგად აჩვენებს პატივს, რომ სწავლისთვის დახარჯული დრო არაა დაკარგული. საინტერესო პროექსი, საინტერესო შინაარსი და მიზნობრიობის ჩვენება კმარა იმისთვის, რომ მოსწავლე „გავითანამშრომლოს“.

– რა კედება დღეს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისთვის?

– იყო დრო, როცა სამი ლარი მქონდა ხელფასი, მანამდე – არაფრის მაქნისი კუპონებიც (მილიონერი ვიყავი, სამი მილიონი კუპონი იყო ხელფასი!). ხელფასი არასდროს ყოფილა ჩემი მოტივატორი, მაგრამ ყველას არ შეუძლია ასე. სახელფასო უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ აუცილებელია. მამაკაცების ნაკლებობის განმაპირობებელი ამ სფეროში, დაბალი ხელფასის გარდა, კიდევ იყო ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი – სტერეოტიპულად, მასწავლებლობა ქალის საქმეა თითქოს. გადავხედოთ პედაგოგიკის ისტორიას, რამდენი დიდი პედაგოგი იყო მამაკაცი, თუნდაც გავისხნოთ იაკობ გოგებაშვილი... რაც შეეხება პროფესიის პოპულარიზაციას, ამას თავად ჩვენ, პედაგოგები უნდა ვემსახუროთ. კარგი მასწავლებლობა ზუსტადაც აღნიშნავს სამყაროს უკეთესი ცვლილებების მსახურებას. როგორ სახელმწიფოშიც გვინევს ცხოვრება, მოდით და ავიღოთ პასუხისმგებლობა მასწავლებლებმა, ჩვენი მოსწავლეები აშენებენ ან ანგრევენ... კარგი კადრი ადრეც ბევრი გვყავდა და ახლაც ბევრი მოდის ამ სისტემაში! მაგალითს უამრავს დავისახელებო...

– რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო პროფესიონალი?

– პროფესიონალიზმისთვის ყოველთვის საჭიროა მოტივაცია და სიყვარული. თუ ადამიანს აქვს ის ბუნებრივი ინტელექტი, რომელზეც ამერიკელი ფსიქოლოგი ჰოვარდ გარდნერი გვესაუბრება, დავამატოთ მოტივაცია და საქმის სიყვარული. შეუძლებელი არაა კარგი მასწავლებლობა. მარტივი ფორმულა არსებობს კარგი მასწავლებლობისთვის: მოექცეცე მოსწავლეებს ისე, როგორც თავად გსურს, მოგეცენ, როცა გასწავლიან. ეს სიტყვები სახარებისეული მოსაზრების ალუზიაა და სახარების „ოქროს წესით“ არის ცნობილი...

– თანამედროვეობა და მასწავლებელი – რას ითხოვენ თანამედროვე მოსწავლეები მასწავლებლისგან

– თანამედროვე მოსწავლეს ესაჭიროება დინამიკური, პროექტზე ორიენტირებული სკოლა, რომელიც კარგად აჩვენებს პატივს, რომ სწავლისთვის დახარჯული დრო არაა დაკარგული. საინტერესო პროექსი, საინტერესო შინაარსი და მიზნობრიობის ჩვენება კმარა იმისთვის, რომ მოსწავლე „გავითანამშრომლოს“. არაფრით შეიძლება, ვცადოთ მოსწავლეთა წარსულში დაბრუნება, სანაცვლოდ, შევთავაზოთ მომავალში, წარმატებისკენ მეგზურობა და ეს შექმნის პროფესიულ ბედნიერებას... არასდროს მქონია კონფლიქტი ბავშვებთან. ბევრ სკოლაში მიწვევს მისვლა, როგორც მხარდაჭერს. საგაკვეთილო პროცესში თანამასწავლებლის პოზიციით ჩავრთულვარ და იქაც სრული ჰარმონია მქონია. როცა სკოლას ვტოვებ, მეზმინებთან იმ სკოლის პედაგოგები და მეუბნებიან, რომ ბავშვები კვლავ ითხოვენ ჩემს მისვლას. მივდივარ კიდევ მათთან შესახვედრად, არა იმისთვის, რომ კიდევ შემეძლოს და ტაში დამიკრან, არამედ იმის გამო, რომ კიდევ ერთხელ ვიგრძნო მხრებზე საკლასო ითაბიდან ბავშვების გამოყოფილი თბილი მზერა. ისინი მენატრებიან ხოლმე, ისეთი წრეელები და უშუალოები არიან... როცა ურთიერთობაში დაძაბულობაა, მასწავლებლებმა მიზეზები ჩვენსავე თავში უნდა ვეძებოთ! ბავშვი ვერ იქნება დამნაშავე...

– „არასტანდარტული გაკვეთილი“ – რამდენად აქტიურია ქართველი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დახვეწის ან გამრავალფეროვნების თვალსაზრისით?

– არასტანდარტულობა არ გულისხმობს ანარქიას. მიზნის მიხედვით ბევრნაირ აქტივობას ვგეგმავთ. იყო დრო, როცა გეოგრაფიასაც ვასწავლიდი და არასდროს იჭრებოდნენ ჩემი მოსწავლეები გეოგრაფიის „კატის“ გამოცდაში. მიზეზი ის იყო, რომ არაფორმალურ გარემოშიც სწავლობდნენ გეოგრაფიას. როცა ბავშვებს ნახაბი აქვთ საქართველოს ყველა რეგიონი, როგორ შეიძლება, საქართველოს გეოგრაფია ვერ ჩააბარონ? ბავშვებს ნდობა უნდა გამოვუცხადოთ და ვასწავლოთ სწავლა. გავიხსენებ ერთ მაგალითს. ერთხელ, ვუთხარი მოსწავლეებს, დაეგემათ მარშრუტი ტრაბზონის მიმართულებით, რადგან მე მათთვის ვაპირებდი თურქული ტურის მონყოფას. გასაოცარი ენთუზიაზმი იყო. დაგვემეს მთლიანად ტური: რამდენი კილომეტრის გავლა გვინევდა (ციფრული ტექნოლოგიით დაადგინეს), როგორ უნდა გადაეკვეთათ საზღვარი, რა საბუთები დასჭირდებოდათ, ტრაბზონის ღირსშესანიშნაობათა მოკლე მიმოხილვა, მოპინგი, დრო, კვების რეჟიმი, თურქული სამზარეულო, ჩაის დალევის რიტუალი და კიდევ – მშობლებზე მზრუნველობაც! დაიხს, ბავშვებმა თავიანთ მშობლებს გაუჩინეს „მეურვეების“ როლი. დამერწმუნეთ, რომ ეს არ იყო მხოლოდ ექსკურსია საზღვარგარეთ, ეს იყო ცოდნის საჭიროება და ნახვა, კონსტრუირება და ცოდნათა ურთიერთშეღწევადობის მაქსიმუმი.

– რამდენად აკმაყოფილებს სასკოლო სახელმძღვანელოები თანამედროვე მოსწავლის მოთხოვნებს?

– ვერც ერთ დროში ვერ შექმნიან იდეალურ სახელმძღვანელოს. ეს მარტივი მიზეზით აიხსნება – ყველა ბავშვი ინდივიდია, რომელიც ზოგჯერ სწრაფად პროგრესირებს ან შედარებით ნელა. როცა ვაკრიტიკებთ სახელმძღვანელოებს, ხშირად სამართლიანადაც, რას ვაკეთებთ ჩვენ, პრაქტიკაში მყოფი მასწავლებლები? რატომ არ ვზრუნავთ სახელმძღვანელოების გაუმჯობესებაზე? ნიგში თუ არა ყველაფერი ის, რაც მესაჭიროება, არსებობს ალტერნატიული საშუალებებიც. ვისაც საქმის კეთება უნდა, ეძებს გზებს და არა მიზეზებს.

– პროფესიული განვითარება – რეალურად, რა ტიპის გადამზადება სჭირდებათ მასწავლებლებს და სთავაზობს თუ არა მათ სახელმწიფო სათანადო პირობებსა და პროგრამებს?

– მასწავლებლებსაც უნდა მიეცეთ უფლება, თვითნაყოფიერად მიადგინონ პროგრესს. პედაგოგი არ უნდა იყოს ვალდებული, რევერანსებით წარდგეს ზემდგომებთან. ჩვენ „რევერანსები“ გვესაჭიროება მოსწავლეებთან. მასწავლებლების საჭიროება მეტაკოგნიციანია. ვხედავ საჭიროებას და უნდა დამეხმაროს ან სახელმწიფო, ან თავად უნდა შევძლო განვითარება... კარგია არ უნდა იყოს მასწავლებლის მოტივატორი. ასევე, მასწავლებელს არ უნდა უწევდეს ფიქრი იმაზე, როგორ ირჩინოს თავი. პედაგოგი უნდა იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი. რაც შეეხება სქემას, გეტყვით, რომ მას აქვს ერთი დადებითი მხარე – მასწავლებლებს მეტი ფინანსური კეთილდღეობა შესძინა. სამწუხაროდ, სხვა დადებით მხარეს ვერ ვხედავ. თუ უკეთესი სტატუსი/ხელფასი გვინდა, მაშინ საკვალიფიკაციო გამოცდები უნდა ჩავაბაროთ და „საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს“ – გვქონდეს კარგი შედეგები სწავლებაში! შესაძლოა, ბევრი კოლეგა გავალიზიანო, მაგრამ ერთს ვიტყვი: თუ საგნობრივ და მეთოდოლოგიურ ცოდ-

ნას ვფლობ, რატომ არ უნდა დავადასტურო ის გამოცდით, თუ მინდა, რომ უკეთესი სტატუსი შევიძინო? ორი წლის წინ ნაჩვენები შედეგი, მიახლოებით მაინც, ველარ უნდა გავიმეორო?! და ძალიან მერიდება იმის თქმა, რომ ათკრედიტიანები უფრო მეტი ვართ დაბალ კრედიტიანებზე, ამის გამო გამოცდები ალარ უნდა ჩავაბარო?! თუ „ათოსანი“ ვარ წელს, რა ღვთის წყრომა მექნება მომდევნო წლებში?

– რამდენად განსაზღვრავს მასწავლებლის სტატუსი გაკვეთილის ხარისხს?

– მოკლედ გიპასუხებთ. სტატუსის მიღებამდე როგორი მასწავლებელიც ვიყავი, ისეთი ვარ ახლაც. დეცენტრალიზაცია არაა იოლი სკოლებისთვის, ამისთვის ჯერ ნაკლებად ვართ მზად და, სავარაუდოდ, ბევრი ხარვეზიც მოჰყვება ასეთ ხელაღებით „თავისუფლებას“. ჩემი აზრით, დეცენტრალიზების დეტალები ეტაპობრივად უნდა შევიტანოთ სკოლაში. სასწავლო გეგმაც თანამშრომლობაც, შეფასებაც, თვითშეფასებაც, ძლიერი და სუსტი მხარეების აღიარებაც... კარგი სტატუსის მქონე მასწავლებლების რაოდენობა არ არის პრობლემა. პრობლემას ქმნის ის, თუ ჩვენ ფუნქციონირებთ ძლიერ და პრაქტიკაში მას არ გადავიტანთ... ესაა ამჟამად სკოლის თვალსაზრისით ტყვიანი!

– განათლების სისტემა რომ გამართული არ არის, ეს უდავოა, მიზეზი ბევრია, თქვენ რას მიიჩნევთ უმთავრეს პრობლემად და ასევე, რა შეიძლება ჩაითვალოს უკანასკნელ წლებში სკოლაში გატარებული რეფორმების მთავარ მიღწევად?

– ნუ გვაგინებთ, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა. ამიტომ, რეფორმა და ექსპერიმენტაც ბევრი იქნება სკოლაში. დღეს, სკოლაში, მთავარ პრობლემად ვხედავ ორ ფაქტორს: კონსტრუქტივიზმის ნაკლებობას და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების სუსტად ან აფექტურად გამოყენებას. მიღწევებიც გვაქვს, ბუნებრივია. თუნდაც ის, რომ ტექნოლოგიებს ფლობენ მოსწავლეები, არაა უფრო მიზანდასახულნი, ასერტულნი, ტოლერანტულნი... ეს სისტემის დამსახურებაა!

– რა შეცვალა სკოლაში „ახალი სკოლის მოდელმა“?

– „ახალი სკოლის მოდელმა“ სკოლაში შეიტანა ეროვნული სასწავლო გეგმა კლასის დონეზე და ის არ დარჩა დოკუმენტად, რომელიც არ რეალიზდებოდა. სკეპტიკოსი უამრავია „მოდელისადმი“, მაგრამ ვისაც უნდა დარწმუნდეს, რომ „მოდელი“ არაა ახირება და ეფექტიანია, ნებისმიერ სკოლაში მივალ და პირდაპირ საგაკვეთილო პროცესით ვაჩვენებ მის ეფექტიანობას... არაა იოლი, ერთბაშად გადავწყვიტოთ კონსტრუქტივიზმსა და მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებაზე, მაგრამ ამას ჩვენ მაინც შევძლებთ! სკოლა გახდება სრულად ბავშვებისთვის საყვარელი და ნებსებულება და მას შეეცვლება რუტინული შინაარსი. „ახალი სკოლის მოდელმა“ გვაჩვენა, რომ ბევრი რამის შეცვლა შეგვიძლია მარტივად, თურმე გვაქვს საუცხოო პრაქტიკა, რომელიც ეპიზოდური იყო და არა სისტემატური, უნდა შევქმნათ ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი (კურიკულუმი, ანუ სასკოლო სასწავლო გეგმა) სკოლაში, უნდა ვიზრუნოთ მის მოდერნიზებასა და დანერგვაზე. შემიძლია, ათეულობით სკოლა დავისახელოთ, სადაც უკვე ბავშვები იცავენ „ახალი სკოლის მოდელს“ იმით, რომ ითხოვენ შემოქმედებითი დავალებების შექმნას, განმავითარებელ კომენტარს, ციფრული ტექნოლოგიის ორგანულად გამოყენებას... ერთი ჩემი მსმენელი მეუბნებოდა, მინდოდა, ერთი ტექსტი „ძველებურად“ მესწავლებინა და კინაღამ ამიჯანყდნენ მოსწავლეები, მასწავლებელი, ჩვენ ისეთი დავალებები გვინდა, ადრე რომ გავაკეთეთ და აუცილებლად უნდა გვითხრათ ხოლმე, რა იყო კარგი ჩვენს ნაშრომში და რის გამოსწორებას გვინდოდა... და კიდევ მეტიც – სხვა საგნის მასწავლებლებსაც ანალოგიურ მოთხოვნებს უყენებენ თურმე ეს ბავშვები...

– როგორია თქვენი თვალით დანახული თანამედროვე ქართველი მასწავლებელი

– ქართველი მასწავლებელი არაფრით ნაკლები არ იქნება ესტონელ ან იაპონელ კოლეგაზე, თუ იმავე პირობებს შევუქმნით, როგორც ამ სახელმწიფოებში აქვთ. იაპონელს როცა ჰკითხეს, რა იყო მათი ქვეყნის წარმატების საფუძველი, მან უპასუხა, რომ მასწავლებელს ისეთივე დაფასება მივანიჭეთ, როგორც იმპერატორს... დააფასებენ მასწავლებელს, მივიღებთ საუცხოო შედეგებს, არ დავაფასებენ და მაინც ისეთი თაობები უნდა აღვზარდოთ, ვინც ბოლოს დაგვიფასებს ამავე, მოგვცემს სიბერის კეთილ გარანტიას და რაც მთავარია, მოქალაქეობრივ თამასას ასწავს უფრო მაღლა, ვიდრე ახლა გვაქვს...

STEM განათლების გაკლიერება

ბარანტი მომხმარებლის კოზისიიდან შემქმნელის როლში გადასასვლელად

ლალი ჯალაძე

ცოტა ხნის წინ, საჯარო და კერძო სკოლების STEM განათლების პედაგოგების მიერ, საზოგადოებრივ საწყისებზე, STEM მასწავლებელთა ასოციაცია დაფუძნდა, რომლის მთავარი მიზანი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში STEM და STEAM განათლების დანერგვის ხელშეწყობაა. ასოციაციის დამფუძნებლები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარმატებული პროექტების ავტორი და გამარჯვებული მასწავლებლები არიან: ტოლია(უბა) კილასონია – სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის და სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის საჯარო სკოლის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი, ანა კინწურაშვილი – თბილისის კერძო სკოლა „ქორალის“ მათემატიკის მასწავლებელი, თინათინ ზარდიაშვილი – თბილისის 143-ე საჯარო სკოლის ძიშიის და 147-ე საჯარო სკოლის ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებელი, სალომე ნასყიდაშვილი – თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი და ება წულუპიძე – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ფარის საჯარო სკოლის ძირითადი ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

STEM მასწავლებელთა ასოციაცია, პედაგოგებისთვის გამოცდილების გაზიარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას იწყებს, ამთ შორის, საინფორმაციო კამპანიის წარმოებას; თამაშური რესურსების შექმნას და გაზიარებას; შეხვედრებს, კონფერენციებს და კონკურსებს; მასწავლებლებისთვის ტრენინგ-მოდულების შექმნას და ჩატარებას. როგორც დამფუძნებელი პედაგოგები, აქტიურად ითანამშრომლებენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

რატომ გაჩნდა STEM ასოციაციის დაფუძნების იდეა და რა როლს ითამაშებს განათლების ხარისხის გაზრდაში STEM-ის განვითარება, ამ თემაზე უფრო დეტალურად ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე უბა კილასონია და თავმჯდომარის მოადგილე ანა კინწურაშვილი საუბრობენ.



უბა კილასონია ასოციაციის დამფუძნებელი აუცილებლობას იმით ხსნის, რომ ჩვენს გარემო ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება, ჩვენი ქვეყანა კი, ამ კუთხით, ჯერ კიდევ მომხმარებლის პასიურ როლშია. მისი აზრით „გასულ საუკუნეებში, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისათვის, გადაამყვებდი იყო ბუნებრივი რესურსები, დღეს კი ინტელექტუალური რესურსი ასრულებს ქვეყნის აღმავლობის საკითხში უმნიშვნელოვანეს როლს. აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის ეკონომიკისა და სტატისტიკის ადმინისტრაციის განმარტებით, STEM სპეციალისტები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ინოვაციებს ქმნიან და ზრდიან ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალსა და კონკურენტუნარიანობას. ბოლო 10 წლის განმავლობაში, მსოფლიოში, STEM სპეციალისტებზე მოთხოვნა 10-ჯერ გაიზარდა. თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო და ტექნოლოგიურ სფეროებში კადრების დეფიციტია. იმისათვის, რომ მხოლოდ მომხმარებლები არ ვიყოთ და ჩვენ თვითონ მივიღოთ STEM განათლების განვითარებაში მონაწილეობა, მნიშვნელოვანია, სკოლის მოსწავლეებს ადრეული ასაკიდან განვითაროთ ტექნიკური აზროვნება, მათ უნდა შეძლონ სხვადასხვა დისციპლინური საგნების ინტეგრირება და ყოველდღიურ ყოფაში გამოყენება. ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში კი, STEM და STEAM განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ქვეყნის მასშტაბით, არათანაბარია. მეტიც, სკოლების დაახლოებით 90%-ს ხელი არ მიუწვდება სათანადო რესურსებზე, სკოლებში კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ეს ყველაფერი ქმნის იმის საფუძველს, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს სჭირდება დამხმარე ძალა, რომელიც უზრუნველყოფს კადრების გადამზადებას და სკოლებში STEM და STEAM განათლების დანერგვის ხელშეწყობას.

სწორედ ამ არსებული რეალობიდან გამომდინარე, ასოციაციის დამფუძნებლებმა, რომლებსაც ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება გვაქვს, გადაწყვიტეთ, საზოგა-

დობრივ საწყისებზე, შეგვექმნა STEM მასწავლებელთა ასოციაცია.“

STEM-ის ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში განვითარების პრობლემებს უბა კილასონია ისევე ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე განიხილავს და ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის სკოლებში, ამ მხრივ, რეალობა მეტად სავალალოა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება მხოლოდ სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. ამბობს, რომ პედაგოგებს არანაირი რესურსი არ აქვთ აქტიური და პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად: „მხოლოდ სახელმძღვანელოებში მოცემული ფორმულებისა თუ ცნებების დაზეპირება მოსწავლეს ვერ უფითარებს ინტერესს ამ საგნების მიმართ, ის ვერ ახერხებს ნასწავლის ცხოვრებისეულ მოვლენებთან დაკავშირებას, არ შეუძლია სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ტრანსფერი. მოსწავლისთვის, ნასწავლი რომ გაიზაროს, აუცილებელია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა შექმნას და თუ ეს არ აქვს, მისთვის სასწავლო პროცესი მეტად უინტერესო ხდება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი არსებული რეალობის გააზრება, სკოლების აღჭურვა სათანადო რესურსებით და პედაგოგთა გადამზადება. დარწმუნებული ვარ, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მოდერნიზება გაცილებით დიდ ეფექტს მოგვცემს, ვიდრე დღეს არსებული თეორიული სწავლება.“

გამოცდილება მიჩვენებს, რომ მოსწავლე ელექტრონულ კომპონენტებს, რომლებსაც სახელმძღვანელოთი ეცნობა, რეალურ სივრცეში ვერ აღიქვამს და ვერ სცნობს, ვერ ხვდება სად და რისთვის უნდა გამოიყენოს ესა თუ ის კომპონენტი. ეს ყველაფერი ცხადყოფს, თუ თეორიული ცოდნა პრაქტიკულად არ გამოყენდება, სრულიად უსარგებლო და ფუჭია.“

ასოციაციის თანადამფუძნებლის, ანა კინწურაშვილის აზრით, STEM განათლების უპირატესობაც სწორედ ის არის, რომ ამ მიდგომაში გაერთიანებულია მეცნიერების, მათემატიკის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ცოდნა. მოსწავლე, კონკრეტულ პროექტზე მუშაობისას, მისდა უნებურად, იყენებს ცოდნას მათემატიკიდან, ფიზიკიდან, ბიოლოგიიდან, ხელოვნებიდან, ინჟინერიიდან და თუ მას ეს ცოდნა არ აქვს, თავად ცდილობს გაარკვიოს, მოიძიოს ინფორმაცია და ისწავლოს, რომ პროექტის წარმატებისთვის გამოიყენოს.



ჩვენთან საუბარში ანა კინწურაშვილი ხაზს უსვამს განათლების ხარისხის ზრდაში STEM-ის განვითარების მნიშვნელოვან როლს. ამბობს, რომ, თუ გვსურს, ჩვენი ქვეყანა წარმატებული იყოს, გვექნდეს მზარდი ეკონომიკა და მომხმარებლის პოზიციიდან შემქმნელის როლში გადავიდეთ, ფხვი ავუნყოთ თანამედროვე ინდუსტრიულ განვითარებას, სათანადო საგანმანათლებლო გარემო უნდა შევქმნათ, გავზარდოთ, ქვეყნის მასშტაბით, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა. მისივე თქმით, „შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში STEM განათლების დანერგვა იძლევა გარანტიას, რომ ახალგაზრდები პასიური ცოდნის მიღებიდან პრაქტიკულ ქმედებაზე გადავლენ, განვითარებენ კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. და, რაც მთავარია, სკოლები შეძლებენ უპასუხოდ თანამედროვე გამოწვევებს და



ახალგაზრდები თანამედროვე ცხოვრების საპასუხოდ მოამზადონ.“


ასოციაციის დამფუძნებლების აზრით, მნიშვნელოვანია წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება STEM განათლების განვითარებაში ყოველწლიურად დაფინანსების გაზრდის მხრივაც. „STEM განათლების განვითარების ხელშეწყობა იმიტომ არის აუცილებელი, რომ ამით შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც ახალგაზრდები იქნებიან ინოვაციურები, შემქმნელები და ეს, მომავალში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახოს. წამყვანი საგანმანათლებლო სისტემის მქონე ქვეყნებიც, სწორედ ამ მიზნით ზრდიან ყოველწლიურად დაფინანსებას STEM განათლების განვითარებისთვის.“ – ამბობს ანა კინწურაშვილი.

რაც შეეხება ასოციაციის გეგმებსა და აქტივობებს, რომელსაც უახლოეს მომავალში განახორციელებენ, დამფუძნებლები აცხადებენ, რომ, პირველ რიგში, ასოციაციის მიზანია, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგვემოს და განავითაროს ის მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს STEM და STEAM განათლების დანერგვას.

შესაბამისად, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს დასახული მიზნისა და ამოცანების მიღწევას. უპირველესად კი, ასოციაცია გეგმავს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, STEM და STEAM განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ასოციაციის წევრი პედაგოგების გადამზადებას და სკოლებში ციფრული კლუბების შექმნას, სკოლის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ინოვაციური კონკურსების ჩატარებას, რაც, თავისთავად, გაზრდის მათ მოტივაციას და ჩართულობას; ასევე, უახლოეს პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალია პედაგოგებისთვის კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება. „ჩვენი მიზანია მჭიდრო თანამშრომლობა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სწორედ მათთან თანამშრომლობით შევითქვანთ წვლილს საქართველოს სკოლებში STEM განათლების დანერგვაში.“ – ამბობს ანა კინწურაშვილი.

იქიდან გამომდინარე, რომ STEM მიმართულებით, პრაქტიკულად, არ არსებობს არანაირი დამხმარე საშუალება პედაგოგებისთვის, ასოციაციისთვის პროორიტიულია, ამ მიმართულებით, რაც შეიძლება დროულად ითარგმნოს ლიტერატურა, უახლესი კვლევები და მიღწევები, რათა გაიზარდოს პედაგოგებისთვის რესურსებზე წვდომა.

◆ ◆ ◆
7 მაისს „STEM მასწავლებელთა ასოციაციამ“, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოაცხადა ასოციაციის განვითარების მსურველთა რეგისტრაცია და მოუწოდა კერძო თუ საჯარო სკოლების პედაგოგებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საკუთარ პრაქტიკაში STEM და STEAM განათლების დანერგვით, გახდნენ ასოციაციის სრულუფლებიანი წევრები.



ფანჯრები ჩვენი გავრცელებისკენ

მარტივად გაუბებთ ოქლანდერს, თუ მზად ხართ სიმაკრიტის მოსასმენად

ლალი ჯალაძე

„იყო ფანჯრები, რომლებიც ჩვენი ისტორიული გეოგრაფიკული განვითარებით განვირგობავდით საბჭოთა ინტეგრირების გამო, მაგრამ დღემდე დამბანული გვერდები და ჯერ კიდევ არ შეგვიძლია. ეს ნიშნები სწორედ ამ ფანჯრების მიღმა გვხვდება.“

წლებია, არათუ გავიწყობი, ახალგაზრდაც აღარ მითქმის, მაგრამ კითხვისას, მეც მომიწინაა ამ საოცარ მხატვრულ თამაშებში მონაწილეობა – ეს ავტორის სუპერ-პროფესიონალიზმის, გადმოცემის სტილისა და მიზნების მრავალფეროვნების გამოა. დაკვირვება დაკვირვებას მოსდევს და ამ დაკვირვებით, გაკვირვება გაკვირვებას – თითქოს ყველაფერი ახლოს იყო, აქვე, ხელისგულზე. გავშვების ცოდნა ალბათ ყველაზე რთული მიხედვებაა. ის კითხვები, რომელსაც გავშვები სვამს, ხშირად უფროსებისთვის სრულიად გაუგებარია. მათ სწავლა და ჩაღრმავება სჭირდება. ქნელიანი ბანიონი გავშვების სიმაკრიტზე, მაგრამ რეგორც ავტორმა მთელი მსოფლიო დაარწმუნა – ამ თემატიკით – შესაძლებელი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მთარგმნელების უზარმაზარი შრომა და შესანიშნავი ქართული. ზუსტად შეამჩნევთ და ამოიცნოთ.“

გიორგი კეკელიძის ეს მცირე ზომის რეცენზია ვაიოლეტ ოქლანდერის წიგნს „ფანჯრები ჩვენი გავრცელებისკენ“ ეძღვნება, რომელიც მარტის ბოლოს გამოცემულ „არტანუჯმა“ გამოცდას. ინტერვიუდან თარგმნის მარტის და ნინო ქაჯანიას, ხოლო პროექტის ავტორია ფსიქოლოგი, გავშვების, მოზარდთა და ზრდასრულთა ფსიქოთერაპევტი მზიკო დალაქივილი, რომელიც ჩართულია საქართველოში „გეგმატა თამაშით თერაპიის“ პროექტში. რას ნიშნავს გეგმატა თერაპია და როგორ შევალთ ჩვენი გავრცელებისკენ მიმართული ოქლანდერის ცნობილი ფანჯრა, ამის შესახებ პროექტის ავტორი მზიკო დალაქივილი გვასაუბრებს.



– მოდი დავინწყოთ თქვენი წარდგენით – გაცნობი მკითხველს და გვიამბოთ რატომ აირჩიეთ გეგმატა თერაპია ბავშვებსა და მოზარდებში, რომელიც საქართველოში არც თუ ისე პოპულარულია?

– ჯავახიშვილის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე რომ ვსწავლობდი, დანამდვილებით ვიცოდი, მინდოდა შემეშავა პაციენტებთან, რომლებსაც დავეხმარებოდი, ანუ ჩემი ინტერესის სფერო მხოლოდ ფსიქოლოგიის შესწავლა არ იყო, მინდოდა უშუალოდ პრაქტიკოსი ფსიქოლოგი ვყოფილიყავი. გავეცანი არაერთ მიმდინარეობას, როგორც არის ფსიქოანალიზი, კოგნიტიურ-ბიჰევიორალური მიდგომა, ცალკე ბიჰევიორალური მიდგომა. ამ ძიების გზაზე ჩემთან ყველაზე ახლო და ყველაზე საინტერესო სწორედ გეგმატა თერაპია აღმოჩნდა. შევეცდები ავიხსნა რატომ მაინცდამაინც გეგმატა თერაპია და რატომ გადავწყვიტე, გავყოლოდი ამ მიმართულებას. პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ მიმართულება და ბიჭი მომცა თამარ გავოშიძემ, რომელიც ნამდვილი პროფესიონალია თავისი საქმის. რადგანაც ბავშვებთან ფსიქოთერაპია სუსტად იყო განვითარებული და, ფაქტობრივად, არ გვყავდა ბავშვთა ფსიქოთერაპევტები, ქალბატონმა თამარმა მითხრა, რომ კარგი იქნება თუ ბავშვთა გეგმატა თერაპიას ვინმე ისწავლის და ეს ვინმე შენ იქნები. ეს იყო ბიჭი. ამის შემდეგ მოვიხივე ინფორმაცია ვაიოლეტ ოქლანდერის შესახებ. ვიპოვე ეს ავტორი, დავესწარი მის ტრენინგებს, კარგად გავეცანი მის ნიგნს... და აქ დაიწყო ის მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც ჩემს პროფესიულ წინსვლაში, ისე, ზოგადად, მსოფლმხედველობაში – რა გზითაც გადავწყვიტე, საბოლოოდ, მეურთიერთა ბავშვებთან, მოზარდებთან. თითქოს ასე ჩამოყალიბდა და გადაწყდა, როგორ განვითარდებოდა ჩემი კარიერა.

რაც შეეხება ნიგნს – „ფანჯრები ჩვენი გავრცელებისკენ“, მისი თარგმნის იდეაც მას შემდეგ გაჩნდა, რაც ვაიოლეტ ოქლანდერს პირისპირ შევხვდი კალიფორნიაში, ტრენინგზე. მისი გაცნობით არა მხოლოდ მივხვდი, არამედ გავიზარე და განვიცადე, რას ნიშნავს იყო თერაპევტი, რა ძალა აქვს თერაპიას, მივხვდი იმასაც, რომ სწორ გზაზე ვარ. მასთან შეხვედრა ყველაზე კარგი მოტივაცია აღმოჩნდა ჩემთვის თერაპევტობისკენ მიმავალ გზაზე.

ვაიოლეტ ოქლანდერი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საკულამო ქცევის დარღვევის მქონე, რთულად აღსაზრდელ ბავშვებთან. ამ პერიოდში შვილი დაელუპა. ამ ტრაგედიის შემდეგ ესელების ინსტიტუტში წავიდა და იქ გავცნო გეგმატა – იქ იპოვა შეება და ძალა, დაბრუნებოდა ნორმალური ცხოვრების რიტმს. მალევე სწავლა კალიფორნიის გეგმატატივის ინსტიტუტში დაიწყო და გეგმატა თერაპევტი გახდა. ბავშვებთან ურთიერთობამ, ამ პროცესში დანახულმა სირთულეებმა ოქლანდერს ბუნებრივად გაუჩინა იდეა, გეგმატა თერაპია გამოეყენებინა და მოერგო ბავშვებთან მუშაობისას. კლინიკური ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ არსებობს ამ ცოდნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ცოდნაც, რასაც გეგმატატივი „მე-შენ ურთიერთობა“ ჰქვია, სადაც თერაპევტი არაფრით არ არის მეტი ან ნაკლები პაციენტზე, ის უბრალოდ მასთან არის, ხვდება პაციენტს იქ, სადაც არის, იღებს ისეთს, როგორც არის, განსჯის, მოლოდინისა და ინტერპრეტაციების გარეშე. ეს არის თერაპიული შეხვედრა, სადაც ურთიერთობით ინყება ცვლილებები და ზრდა.

ზოგადად, ყველა თერაპევტიკოსი თანხმდება და ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ ადამიანის განვითარება, ჩამოყალიბება, წარმატება თუ წარუმატებლობა – დიდწილად განპირობებულია ბავშვობის გამოცდილებით. რა ხდება ბავშვობაში – თითქოს ეს ხდება პრედიკატორი იმისა, თუ რა მოხდება მომავალში ადამიანის ცხოვრებაში. ძალიან რთულია ხოლ-

მე ბავშვობაში დასწავლილი, გამჯდარი, ჩამოყალიბებული ქცევებისა თუ რწმენების გადაკეთება ზრდასრულობაში. ზოგჯერ ადამიანები მთელ ცხოვრებას ანდომებენ ხოლმე აქედან გამოსვლას. თავიდანვე მივხვდი, რომ ბავშვის თერაპია ძალიან კეთილი და მაღლიანი საქმე იყო, თითქოს იქვე ეხმარები ადამიანს იმაში, რომ მერე წარსულში დაბრუნება აღარ გახდეს მისთვის აუცილებელი. იქვე ხარ და მშობელთან ერთად ეხმარები, არ დაუშვას ის შეცდომა, რომელსაც ზრდასრულობაში იწვევს, თავიდან აარიდებ იმას, რომ მერე იტანჯოს და ნღები მოანდომოს პრობლემიდან გამოსვლას, თავის დახსნას. სწორედ ეს გავიზარე და გადავწყვიტე, ბავშვთა ფსიქოთერაპევტი გავმხდარიყავი – გეგმატატივის მიმართულებას გავყოლოდი.

ახლა შევეცდები, ავხსნა მკითხველისთვის, რა არის გეგმატატივი.

სიტყვა გეგმატატივი ნიშნავს ფორმირებას. გეგმატატივი თერაპიაში ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანს ჰქონდეს საკუთარი მთლიანობის შეგრძნება, რომ ის არ არის ცალკე ფიქრი, ანუ კოგნიცია, არ არის ცალკე ემოცია და განცალკევებულად სხეული. ეს ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომელიც ფუნქციონირებს ერთობლივად – მთლიანობაში, თუმცა, სხვადასხვა ფუნქციები აქვს – აზროვნება თავის ფუნქციას ასრულებს, ემოციას თავისი ფუნქცია აქვს, სხეული თავისთავად სხვაა, თუმცაღა მათი მთლიანობა, ურთიერთკავშირი და შეთანხმებული ქმედება არის ის, რასაც გეგმატატივი გვეუბნება, რომ არის უმნიშვნელოვანესი ადამიანის ჯანმრთელი ფუნქციონირებისთვის. კოგნიცია, სხვა სიტყვებით – აზროვნება და ემოცია შეთანხმებულია ერთმანეთთან და მათში კონფლიქტი ნაკლებია, შესაბამისად, სხეულიც ჯანმრთელად ვითარდება და ადამიანის ორგანიზმი იმის მიხედვით ფუნქციონირებს, როგორც სინამდვილეში მას სჭირდება.

– რას აკეთებს ზოგადად გეგმატატივი თერაპევტი?

– გეგმატატივი თერაპევტი ბავშვს უბრუნებს შესაძლებლობას, მისმა ორგანიზმმა თვითონ შეძლოს თვითრეგულაცია. ფსიქოთერაპევტი, თავდაპირველად, უნდა მიხედვს, რა სჭირდება ბავშვს, რომელი მოთხოვნილება აქვს ამ მომენტში დაუკმაყოფილებელი. ადამიანს, ერთდროულად, შეიძლება რამდენიმე მოთხოვნილება აღეძრას. მაგალითად, შეიძლება გნჯიროდეს, თან დალილი იყო და გეცინებოდა, ან, შესაძლოა, გენატრებოდეს კონკრეტული ადამიანი. ჯანმრთელი ორგანიზმის შემთხვევაში, ადამიანი ახერხებს გამოადენტიფიციროს მათგან ერთი, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დაიკმაყოფილოს ეს საჭიროება. შემდეგ გადავიდეს ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. როგორც გითხარით, ასეთ შემთხვევაში, ჯანმრთელი ორგანიზმი ირჩევს მისთვის პრიორიტეტულს. გეგმატატივი თერაპევტი სწორედ ამ საჭიროებების გაცნობიერებაში ეხმარება პაციენტს – გამოადენტიფიციროს რომელი საჭიროებაა მისთვის, იმ მომენტში, უფრო მნიშვნელოვანი, რაც არ დაუკმაყოფილდა, კიდევ უფრო მარტივად რომ ავხსნა, აპოინინოს ადამიანს გზა, რომელიც გასაუღელი აქვს აღძრული მოთხოვნილებებიდან მათ დაკმაყოფილებამდე. ამ გზას, გეგმატატივი, კონტაქტის ციკლი ეწოდება.

ყველაზე მძიმეა პაციენტი, როდესაც საერთოდ ვერ ხვდება საკუთარ მოთხოვნილებას, არ იცის რა უნდა და თითქოს დესენსიტიზირებულია, ვერც კი ხვდება რომ რაღაც კონკრეტული ესაჭიროება. არსებობს პაციენტი, რომელიც ხვდება რა უნდა, მაგრამ ძალას ვერ პოულობს, თითქოს, მუდმივად სხვაზეა დამოკიდებული და სხვისგან ელოდება ინიციატივას, რომ რაიმე კონკრეტული მოიმოქმედოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. დაუშვავთ, იცის, რომ შია, მაგრამ ვერ იტყვის, რომ შია მანამ, სანამ სხვა არ შეს-

თავაზებს: ხომ არ გშია? არსებობს ადამიანი, რომელმაც იცის რა უნდა, თითქოს ნაბიჯსაც დგამს იმისთვის, რომ მიიღოს ის, რაც ესაჭიროება, მაგრამ ამ პროცესში თითქოს დანაშაულის განცდა უჩნდება, ან, ვერ იღებს ამ პროცესით სიამოვნებას. ესეც, ერთგვარი წყვეტა კონტაქტის. ასე რომ, გეგმატატივი თერაპევტის მიზანი, ბავშვთან ურთიერთობის პროცესში, კონტაქტის ციკლის უწყვეტად განხორციელების შესაძლებლობის მიღწევაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვმა თვითონვე უნდა იცოდეს რა სურს და ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად გზის დამოუკიდებლად გავლა თავად უნდა შეძლოს. თუ დამოუკიდებლად ვერ ახერხებს, მონახოს გამოსავალი, ითხოვოს დახმარება და საბოლოოდ, ამ პროცესისგან მიიღოს ის შედეგი, რაც მის ორგანიზმს სჭირდება. მაგალითად, სწყურია? მიხვდა, რომ სწყურია? ადგეს, მოუშვას ონკანი, დალიოს წყალი და მიიღოს სიამოვნება. შემდეგ მიიღოს ახალი იმპულსი მომდევნო მისთვის მნიშვნელოვანი საჭიროების შესახებ. ბავშვებთან, ხშირ შემთხვევაში, ეს ციკლი არ მიმდინარეობს ხოლმე უწყვეტად. მათ უჩნდებათ შიში და დამოკიდებულებები გარემოზე, თითქოს გარემოს თანხმობა, გარემოსგან წამოსული ინიციატივა სჭირდებათ მუდამ. თუმცა, ხშირად გარემომ სწორად არ იცის რა ხდება ბავშვის შიგნით. რეალურად, დედამ არასდროს იცის, კონკრეტულ მომენტში ბავშვს თამაში ურჩევნია თუ ნიგნის ნაკითხვა. შესაბამისად, უმჯობესია, ბავშვმა თვითონ განსაზღვროს რა ესაჭიროება მას იმ მომენტში. ეს არც ერთ შემთხვევაში არ გამოირიცხავს იმას, რომ მშობელს არ უნდა მოუსმინოს. ბავშვმა უნდა შეძლოს როგორც საკუთარი სურვილის დაფიქსირება, ისე გარემოსთან ადაპტირება, რაც მხოლოდ ჯანსაღი დიალოგი არის შესაძლებელი მშობელსა და ბავშვს შორის. როდესაც ეს დიალოგი არ ხორციელდება, ბავშვები ინყებენ მორჩილებას, საკუთარი აზრისა და სურვილის საწინააღმდეგოდ ქმედებას, მშობლის გულის მოსაგებად...

– როგორ ახერხებთ თერაპევტები, ბავშვს ის საჭიროება გამოაკეთინოთ, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მისთვის და შემდეგ ეს უწყვეტი ციკლი ააწყოთ?

– ოქლანდერის ნიგნი ზუსტად ამაზეა, როგორ უნდა ჩავნედეთ ბავშვის შინაგან სამყაროს, როგორ შევალთ ეს ფანჯარა და დავინახოთ, რა ხდება სინამდვილეში ბავშვის შინაგან სამყაროში და როგორ განსხვავდება მისი ქცევა მისი შინაგანი მდგომარეობისგან; როგორი განსხვავებული შეიძლება იყოს მისგან წამოსული იმპულსები და რა შეიძლება იმპულსად ამ ქცევის უკან, ანუ როგორია დაფარული საჭიროებები. ჩვენი, თერაპევტების მიზანი სწორედ ეს არის, რომ ზუსტად მივაგნოთ ბავშვის საჭიროებას და არ გავჩერდეთ მხოლოდ ბავშვის ქცევაზე, არ დავრჩეთ ზედაპირზე და მხოლოდ მის ქცევას არ მივაქციოთ ყურადღება, არამედ ჩავივით უფრო სიღრმეებში და გავიგოთ – რას მალავს ამ ქცევის უკან, რომელი მოთხოვნილება აქვს, რომლის დაკმაყოფილებასაც ვერ ახდენს. ბევრი მშობელი ეუბნება ბავშვს, რომ გაბრაზება კარგი არ არის, რომ ტირილი ცუდია – ასეთ დროს, განსაკუთრებით ბიჭებს, უყალიბდება დამოკიდებულება, რომ არ უნდა იტირონ, არ უნდა გაბრაზდნენ; არადა ბრაზის ემოცია აუცილებელი ემოციაა. ბრაზი ძლიერი ემოციაა, ეს არის დიდი ძალა და ენერჯია, რომელთან სწორი ურთიერთობის ცოდნა ენერჯის დიდი წყაროა, ბევრი ბავშვი ბრაზზე უარს ამბობს, ბლოკავს ამ ემოციას, რადგან მშობლებს არ მოსწონთ გაბრაზებული ბავშვი. ასევეა ტირილიც. ტირილი ერთგვარი თვითზრუნავი შეიძლება იყოს. ზოგჯერ აუცილებელიც კია, რომ ბავშვმა იტიროს. თუ ჩვენ ხშირად ვეცყვით, რომ ტირილი ცუდია და არ უნდა იტიროს, ბავშვი დაინსწავლის და აღარ ტირის. თერაპიის დროს,

ფანჯრები ჩვენი ბავშვებისკენ

ჩვენ დაბლოკულ ემოციებს „უკან ვაბრუნებთ“ და ვასწავლით ამ ემოციებთან ურთიერთობას. ჩვენ ვაძლევთ სივრცეს, დაიბრუნონ და გამოხატონ დაბლოკილი ემოციები, რაც შვების მომგვრელი პროცესია. ყველაფერი ეს, ემსახურება მთავარ მიზანს: ბავშვმა არ უნდა იცოცხლოს, არამედ იცხოვროს და სრულად შეძლოს გარემოს აღქმა, შეგრძნების ყველა ორგანოთი – ემოციების სრულად ფლობით სრულად შეიგრძნოს სიცოცხლე.

– თერაპიის დროს ხდება თუ არა ემოციების კორექტირება და როგორია თერაპიული სივრცის ჩარჩოები გემტალტში?

– ემოციის კორექტირებას არ დავარქმევდი, ჩვენ მათ, ხშირ შემთხვევაში, დაბლოკილი ემოციის განბლოკვაში ვეხმარებით. ხანდახან მოდის ბავშვი, რომელსაც სახეზე არანაირი განცდა არა აქვს, ემოციას ვერ კითხულობს. მიზეზი სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს... ბავშვი ზოგჯერ იმპულსურია და იმაზე მეტს გამოხატავს, ვიდრე გარემო აძლევს ამის საშუალებას, ამიტომ, ის ხშირად ამის გამო ისჯება ან იღებს საყვიდურს. ამის შემდეგ, შიშით, რომ გარემომ არ გარიყოს ან დედამ და მამამ მასზე უარი არ თქვან, ბავშვი დაისწავლის, რომ ეს ემოცია ცუდია და მასზე უარს ამბობს. არადა, ცხოვრების სრულად შეგრძნება, დამეთანხმებით, შეუძლებელია ემოციების გარეშე, სწორედ ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, პირიქით მოვიქცეთ – ბავშვებს ემოციები დაუბრუნოთ და მივცხმაროთ მათ გამოხატვაში, რაც საკუთარი თავის შეგრძნების და აღმოჩენის აუცილებელი წინაპირობაა.

ახლა განვიხილავ შემთხვევას, როდესაც ბავშვი მოდის გადაშტეტული ემოციით (ბამას იმპულსურ ქცევას ვეძახით – ბავშვს თითქოს იმაზე მეტი ემოცია აქვს, ვიდრე უნდა ჰქონდეს). მაგალითად, დედა ჩივის, რომ ბავშვი მარტივად ტირის, ზედმეტად ემოციურია, ხმაურინანია, ყველაფერი სწყინს... აქ აშკარად იგრძნობა, რომ ბავშვს, როგორც საკუთარ თავთან, ისე გარემოსთან კონტაქტის პრობლემები აქვს. ჩვენ მას, საკუთარ თავთან მიახლოებით, გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ვეხმარებით. თერაპევტებს ორი რამ აინტერესებთ – ბავშვი იყოს ჰარმონიულ ურთიერთობაში საკუთარ თავთან, ანუ აცნობიერებდეს თავის ემოციებს, ფიქრებს, სურვილებს, შესაძლებლობებს და ახერხებდეს ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას გარემოსთან.

როგორ ხდება ეს? – აქ პირველად ვახსენებ სელფს – ბავშვს უნდა მიუახლოვდეს საკუთარ სელფს, ანუ ნახოს ვინ არის თვითონ – რა შეუძლია, რა მოსწონს, რა არ მოსწონს; რა არის მისი საკუთარი აზრი, შეგრძნება; ბავშვები ხომ გარემოსთან ურთიერთობებით იზრდებიან. თუ დავაკვირდებით ბალებს, სკოლებს, მშობლებს, იოლად დავინახავთ, რომ ბავშვები, ხშირად, მზა ინფორმაციას იღებენ – ახლა უნდა გავაკეთოთ ეს! ახლა ეს უნდა გავაკეთოთ ასე! შესაბამისად, რას გრძობს ბავშვი ამ მომენტში ან რას ფიქრობს, ეს, თითქოს თვითონვე ავიწყდება და პირდაპირ ემორჩილება იმას, რასაც გარემო კარნახობს. გარემოს უნდა ახსოვდეს და ითვალისწინებდეს იმას, უბრალოდ ემორჩილება გარემოს ნაკარნახევს ბავშვი თუ გრძობს რას ელაპარაკებიან მას. სხვა სიტუაციებში რომ ვთქვათ, არ უნდა მოხდეს გარემოსგან იმ ინფორმაციის დაუღებავად გადაყლაპვა, რომლის გემოც ვერ გაიგო ბავშვმა – ჯერ უნდა დაიღებოს, დაგემოვნდეს, მოეწონოს, მიიღოს და მერე უნდა გადაყლაპოს და რაც არ მოეწონს, იმაზე უარს თქმა შეუძლია. სამწუხაროდ, ამის საშუალება ხშირად არ ეძლევათ ბავშვებს. ისინი ინფორმაციის გამზადებულ ულუფებს იღებენ, რომელიც, უნდათ თუ არა, მაინც უნდა გადაყლაპონ. თერაპევტები მათ სწორედ ამ პროცესის თავიდან გავლაში ვეხმარებით – ვცდილობთ გაიზარონ რა ხდება, რას სთავაზობს გარემო და თვითონ აირჩიონ შეთავაზებულიდან რა მიიღონ და რა არა, ვასწავლით პასუხისმგებლობის აღებას, არჩევანის გაკეთებას, რაც თვითშეფასების საინდიკატორია. ხშირად გარემო ბავშვს სასარგებლო სთავაზობს, მაგრამ, შესაძლოა, ტემპში იყოს აცდენა – გარემო არ აცდის ბავშვს მიხედვით, რომ ეს კარგია. გვეჩქარება? ვეუბნებით: ჩქარა ჩაიცივ. ვაგვიანებთ? ვეუბნებით: ჩქარა ჭამე. შეიძლება ბავშვს ძალიანაც უნდა, რომ ჭამოს, მაგრამ ისე ჩქარა არა, როგორც გარემო სთავაზობს, ან შეიძლება მას უნდა ისწავლოს ლექსი, რომელსაც შენ ასწავლი, მაგრამ არა ძალდატანებით, არამედ თავისი ტემპით, არ უნდა დაგვაყინდეს ბავშვის ტემპი, ტემპერამენტი. ერთია ჩვენ რა გვინდა ბავშვისთვის, მეორეა მას თვითონ რა უნდა იმ მომენტში, რისთვის არის მზად მისი ორგანიზმი. არ უნდა დავაბიჯოთ ფეხი მის ემოციებსა და ფიქრებს.

გემტალტ თერაპევტები ვცდილობთ, ბავშვი დაუბრუნდეს იმ საწყის მდგომარეობას, სადაც საკუთარ თავს გრძობს, ფლობს და გარემოსთან ჰარმონიულ ურთიერთობაშია.

თავისთავად, ჩვენს თერაპიულ სივრცეში ჩარჩოვ გვაქვს და საზღვრებსაც ვანებს, მაგრამ ამ სივრცეში მე აუცილებლად ვრჩები მე, მაქვს ჩემი საზღვარი ურთიერთობის მაგალითად, თუ ბავშვს უნდა, რომ თავზე ამაცოცდეს და ეს არ მსიამოვნებს, მე მას აუცილებლად ვეჭყვი, შენ მე თავზე ვერ ამაცოცდები იმიტომ, რომ მე ეს არ მომწონს. თუმცა, შევთავაზებ სხვა თამაშებს, რომლის თამაშის შემიძლია მასთან. ამით ვასწავლი, რომ გარემო ყოველთვის ვერ იქნება მასზე მორგებული, მაგრამ, ამავდროულად, გარემო ბევრი არჩევანის საშუალებას აძლევს და შეუძლია ის აირჩიოს, რომელიც მას სურს – გარემოსთან არ დაკარგოს კონტაქტი და ეს იყოს შეთანხმებული დიალოგი მათ შორის. მე, როგორც თერაპევტი, ვუქმნი უსაფრთხო გარემოს, ვაძლევ არჩევანის შესაძლებლობას, სადაც ის ასეთი ურთიერთობით და ნამდვილი შეგრძნებებით იზრდება, იცვლება და ვითარდება – უბრუნდება მის თავს! იბრუნებს ბავშვი საკუთარ

ემოციებს, რომლებზეც შეიძლება უარი ჰქონდა ნათქვამი, და, უბრალოდ, მექანიკურ ქმედებებზე იყო გადასული მისი ცხოვრება. რა ასაკისაც არ უნდა იყოს ბავშვი, მნიშვნელობა არ აქვს, ყველა ასაკში ხვდება, რომ ის მხოლოდ გარემოსგან ნამოსული მითითებების პროდუქტი არ არის, რომ გარემოსთან ადაპტირება აუცილებელია, მაგრამ ასევე უმნიშვნელოვანესია იცოდე ვინ ხარ შენ! – ვინ ხარ შენ, საკუთარი თავის პოვნაში, საკუთარი ემოციების ფლობაში ეხმარება ოკლანდერის წიგნი ადამიანებს. განახლებული შენი თავით, გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად გადასადგმელი ნაბიჯებია ამ წიგნში ასხნილი და ნაჩვენები.

– ალბათ, ამიტომაც არის ვაიოლეტ ოკლანდერის წიგნი მნიშვნელოვანი მშობლისთვის და მასწავლებლისთვის?

– „ფანჯრები ჩვენი ბავშვებისკენ“ ვაიოლეტ ოკლანდერის პირველი წიგნია, სადაც ის გენიალური სიმარტივით აღწერს საკუთარი მუშაობის მოდელს, დამოკიდებულებას ბავშვებისა და თერაპიული პროცესის მიმართ. ვაიოლეტ ოკლანდერის განზრახვამ, გემტალტ თერაპია ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობისთვის მოერგო, რაც მანამდე არავის უცდია, აშკარად გაამართლა. დღეს ოკლანდერის მოდელი დიდი წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი წიგნი 16 ენაზეა ნათარგმნი და ბევრი თერაპევტის სამაგიდო წიგნად იქცა. მარტივია ოკლანდერის გაგება, თუ მზად ხარ სიმართლის მოსასმენად. ის იცნობს ბავშვს, მას ყველა ბავშვის ესმის, არავის განსჯის, ყველაზე თანაბრად ზრუნავს, ყველას ანათებს და გზასაც უნათებს. მასთან შეხვედრა ნიშნავს, შეხვედრა საკუთარ თავს ისეთს, როგორც ღმერთმა გაგაჩინა – სიყვარულით მიაღწიო ბედნიერებას.

პირველ რიგში, მინდა, ყველა მშობელმა და უფროსმა ადამიანმა გაიზაროს და იგრძნოს რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის შინაგანი მდგომარეობა, რომ არ ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ გარემოს წესებით. ცხადია, გარემოში წესები აუცილებლად არსებობს და იარსებებს, თუმცა, არ უნდა ვაქციოთ ჩვენი ბავშვები მხოლოდ მექანიკურად დამორჩილებად არსებებდა ამ გარემოსთან მიმართებაში. არ დაგვაყინდეს ბავშვების შინაგანი მდგომარეობა, მათი ემოციები, განცდები, ხელახლა შევხებით მათ და კარგად გავიზაროთ, რომ თითოეული ბავშვის განცდა, თურმე, განაპირობებს მის მომავალს. არც ერთი წამით არ უნდა დავგავინწყდეს, რამდენად ფაქიზია ბავშვის ფსიქიკა, რამდენად მნიშვნელოვანია მათი ყოველდღიური განცდების და ემოციების მოსმენა და მათთვის იმ სივრცის მიცემა, რომ ამ ყველაფერზე შეძლოს საუბარი. ბავშვებს ხელი შეუწყოთ არა ემოციების დაბლოკვაში, არამედ მივებმაროთ, რომ ეს ემოციები გამოიყენონ იმისთვის, რომ სიცოცხლე კიდევ უფრო მეტად შეიგრძნონ და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ გარემოსგან, შესაბამისად, მეტი გასცენ. მეტი სიცოცხლე ჩვენს ბავშვებს, აი, ეს სიტყვებია ამ წიგნის დევიზი.

ოკლანდერის ფანჯარა მართლაც საუკეთესო ფანჯარაა მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის ბავშვების შინაგან სამყაროში შესაღწევად. ამის გარდა, ეს არის ერთგვარი შეტყობინება/გზავნილი მშობლებისთვის – არასოდეს ენდოთ მხოლოდ თქვენს შეხედულებებს ბავშვებზე, ის ყოველთვის გადაამონმეთ ბავშვთან. უამრავი ხერხი არსებობს, რომელიც თქვენ გაძლევს იმის საშუალებას, რომ შეიხედოთ ბავშვის სამყაროში. ნუ განსაზღვრავთ ბავშვს მხოლოდ მისი ქცევით, ზუსტად ქცევის შიგნით იღება ეს ფანჯარა და მის მიღმა იმალება ყველა ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც მის ქცევებს განაპირობებს, ქცევებს, რომლებიც თქვენ შეიძლება არ მოგწონთ ან მოგწონთ. ყოველთვის იქონიეთ ბავშვთან ისეთი ურთიერთობა, სადაც ბავშვი თქვენი ნდობით ისარგებლებს, სადაც მისთვის იქნებით უსაფრთხო და არა განმსჯელი; მისთვის შექმნით უსაფრთხო სივრცე, სადაც გამოხატავს როგორც თავის ემოციურ მდგომარეობას, ისე ფიქრებს – კოგნიტურ მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში, თქვენ გახდებით ზუსტად ის ადამიანი, ვისთან ურთიერთობაში ბავშვი გაიზრდება და უკეთესობისკენ შეიცვლება. თუ მან ვერ გამოხატა მისი ნამდვილი ფიქრი და ემოცია, ვერასდროს გაიზრდება, ვერ გახდება უკეთესი ადამიანი. დამერწმუნეთ, რომ ბავშვები ყოველთვის უნდა იზრდებიან და იცვლებიან, თუ ჩვენ მათ მივეცით განვითარების საშუალება. განვითარების საშუალება კი, პირველ რიგში, არის მათი მოსმენა და არა ჩვენი აზრის თავს მოხვევა. მათი მოსმენით ჩვენ ვიზრდებით. ამ დიალოგით, რომელსაც გემტალტში „მე – შენ ურთიერთობა“ ჰქვია, ხდება როგორც ბავშვის გაზრდა, ისე მშობლის გაზრდაც. ნუ დაიზარებთ, მოუსმინეთ მათ და ძალიან ბევრ საინტერესოს გაიგებთ შეილებზეც და თქვენს თავზეც.



„ფანჯრები ჩვენი ბავშვებისკენ“ საუკეთესო საჩუქარია მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, სპეციალდგოგებისთვის, ბავშვთა და მოზარდთა პრაქტიკოსი ფსიქოლოგებისთვის, ფსიქოთერაპევტებისთვის.

„ნაშრომი პასუხს სცემს უამრავ საჭირობოროტო კითხვას: როგორ გავუგოთ და მოვექცეთ ბავშვებს; როგორ მოვახერხოთ, რომ ბავშვმა დაძლიოს პრობლემები და საკუთარი თავის უკეთესი ვერსია შექმნას; რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაშრომსა და ფანჯარას, ემოციებსა და სახელდება; ალქმის სისტემის განვითარებასა და თამაშს, პრობლემების ვერბალიზაციასა და თვითობის გააზრებას ბავშვებში.“ – ნერს ადიქციის კვლევისა და კონსულტირების ცენტრის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი მარინა კაჭარავა. და რაც მთავარია, მისივე შეფასებით, ვაიოლეტ ოკლანდერის „ფანჯრები ჩვენი ბავშვებისკენ“ ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია, რაც კი ამ დარგში დანერგა – საოცარი გულწრფელობითა და სიყვარულით არის განმსჭვალული წიგნში ყოველი სიტყვა.



– თითქმის ხატავს და თიხას ერთნაირი შეხებით და კინესთეტიკური თვისებები აქვს. თითქმის ხატავს ერთ-ერთი ის აქტივობაა, რომელიც, სამსუხაროდ აკრძალულია სკოლამდელ ჯგუფებში. არადა, უამრავი საყვარელი თვისება აქვს. თითქმის ხატავს დამაშვილებელია, მდორედ მიმდინარეობს. მსაჯვარს შეუძლია, სასიხვი ნახაზი ან სურათი დახატოს, და თუ დასჭირდა, იოლად ნაშალოს. მარჯხს არასდროს განიწყობს და ბევრი უნარ-ჩვევა არ სჭირდება. შეუძლია, აშშ-ში მოჭყვს ნახატზე, რომელსაც დასრულებულია მიიჩნევს. ან ილაპარაკოს იმაზე, თუ რას ავიწყებს სურათი. მე თვითონ თითქმის ხატვისას პლაკატის დაფქვილ საღებავს ვიყენებ. რომელიც სარეზის სახამებელია მოფრქვეული. ოდესმე ვიყდი-ათ თითქმის ხატვა ვაზელისით, სახის კრემით ან შოკოლადის ჰუდინგით?

– 10 წლის ფილიპი ჩვენს შეხვედრებზე ხშირად ხატავდა თითქმის, მოუსვენარი ბავშვი იყო, სკოლაში ნყარად ჯდომა უჭირდა. სხვა ბავშვებს ხშირად ურტყამდა, ყველას ეჩხუბებოდა, მოტორული კოორდინაცია უჭირდა. მაგრამ როცა თითქმის ხატვაში ჩაეფლონოდა, მშვიდი და კმაყოფილი ჩანდა, ღრმად სუნთქავდა. თითქმის ხატვით ბევრი შეხვედრა გვქონდა, მაგრამ არც ერთი სურათი არ დაუსრულებია. თუშეა ჩემთან პლაპარაკა თავის ქოვრე-ნაზე. იმაზე, თუ რა რწდი გრძობენ ბავშვთა საკუთარი თავის მიმართ, და როგორ ვრავლობდა მშობლებსა და მასწავლებლებზე.

– ბოლოს, ერთ დღეს, ფილიპმა დაასრულა თითქმის დახატული სურათი. თითქმის მზად იყო საამისოდ – საკმაოდ მოძლიერდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა. სურათზე კლოუნის სახე იყო. კლოუნის აშშ-ის მოილოა ვთხოვე. „ჩემი კლოუნი ხალხს აყენებს. ყველას სასაურო ჰგონია, მაგრამ ცულის სიღრმეში ძალიან ნაღვლიანი კლოუნი. ადამიანებს გასაყინებლად სახე უნდა მოიხატოს და სასაუროოდ ჩაიყვას, თორემ თუ გამოაჩინა, სინამდვილეში როგორია, ყველას ძალიან შეეწოდება და ყველა იტირებს“. ფილიპმა პირველად შეძლო, ეთქვა, თუ რა სასიხაროა კლოუნი.

„ფანჯრები ჩვენი ბავშვებისკენ“

ძალიან მოხარული და აღელვებული ვარ ჩემი წიგნის ქართულ ენაზე თარგმნით. მანუფინიერებს ის ფაქტი, რომ მომერა შესაძლებლობა, მხარი დაუჭიროო „გემტალტ თამაშით თერაპიის“ საზოგადოებას, ჩემი საქმიანობით დავეხმარო ქართველ ბავშვებსა და მოზარდებს. მიიღონ ტრანსფორმაციული და სასარგებლო გამოცდილება. რომელსაც ისინი ნამდვილად იმსახურებენ. დახმარებისთვის მადლობას ვუხადი მზიკა დალაქიშვილს და ყველას, ვინც ჩართულია საქართველოში „გემტალტ თამაშით თერაპიის“ პროექტში. მადლობა, რომ ახორციელებთ ჩემი საქმიანობის ინტეგრირებას თქვენს პრაქტიკაში.

პეტრიაშვილი, ვაიოლეტ ოკლანდერი

რეპორტი

33-წლიანი მოლოდინის შემდეგ ერკეთს თანამედროვე სტანდარტების სკოლა აქვს

იჩაქლი თავაძე

როგორც იქნა, 33-წლიანი მოლოდინის შემდეგ, სკოლის ახალი შენობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთსაც ედირსა – უკვე დასრულდა მისი მშენებლობა და მალე ოფიციალურადაც გაიხსნება, მოსწავლეებს კი ახალი სასწავლო წლიდან მიიღებს.

ახალი სკოლა 90 მოსწავლეს გაათვლილი, თუმცა სადღეისოდ მათი რეალური რაოდენობა გაცილებით მცირეა – სკოლა მცირეკონტინგენტისაა. არადა, ერკეთი, რომელიც ჩემი სოფლიდან – ზემოხეთიდან არც ისე შორსაა, ბავშვობიდან ერთ-ერთი ხალხმრავალი სოფელი, მისი სკოლა კი მრავალრიცხოვანი და რაიონის სკოლებს შორის წამყვანი მასსოვს. სამწუხაროდ, ის დრო წარსულ წლებს წაუღია და ცოტა გაკვირვებულნიც კი დავრჩი, როცა გავიგე, რომ თურმე წელს ამ სკოლას მხოლოდ 1 მოსწავლე ამთავრებს!

ესეც ცხადი დასტურია, მიგრაცია რაოდენ დიდ მასშტაბებს აღწევს, ამ მდგომარეობაში კი სოფელი სკოლის პრობლემამ მიიყვანა – ყოფილი კოლმეურნეობის არასტანდარტულ შენობაში რაკი სწავლისთვის სათანადო პირობები არ იყო, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ახლომდებარე სოფლებში და დაბა ჩოხატაურში გადავიდა, მოსწავლეები კი ოჯახების გარეშე ვერსად წავიდოდნენ... სკოლა რომ თავის დროზე ელირსებინათ სოფლისთვის ან ის ძველი არ შელახულიყო, დღეს ამ ისტორიულ სოფელში, რომელიც უძველესი ეკლესიით სავსებით დამსახურებულად იწონებს თავს და ჩოხატაურის ტურისტულ პოტენციალში დიდი ადგილიც უჭირავს, ასეთი სავალალო ვითარება არ იქნებოდა. ამ კონტექსტში შეუძლებელია არ გაგვასენდეს ჩოხატაურის მაშინდელი განათლების განყოფილების გამგის, ამ სფეროს დიდი მოამაგის, ლიანა თოდუას ფრაზა, ადგილობრივი პრესის ერთი პუბლიკაციიდან, სადაც სოფლისთვის სკოლის მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას: სოფელი, მოხედე სკოლას! მართლაც, სკოლა ხომ სოფლის საყრდენი ერთ-ერთი ძირითადი დედაბოძია. სკოლის



დახურვიდან სოფლის დაცლამდე ერთი ნაბიჯია, რასაც ერკეთის და არა მხოლოდ მისი მაგალითი ადასტურებს (თუმცა, მიგრაციის მიზეზი მხოლოდ ესა არაა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი კი ნამდვილადაა).

ცოტა ვასაკვირია, მაინცდამაინც „ქრისტეს ასაკს“ ელოდნენ თუ რატომ დასჭირდა სკოლის მშენებლობას 33 წელიწადი იმ ქვეყანაში, სადაც რესტორნები და საცხოვრებელი კორპუსები სოკობივით შენდება, ხშირად – სრულიად შეუსაბამო და ისტორიულ ადგილებშიც კი, აქ კი ათწლეულია, სოფელი და ბავშვები ამაოდ ელოდნენ ნორმალურ სასწავლო პირობებს. და როცა ეს ხდება რაიონული ცენტრიდან ერთი ხელის განწვევანაზე, ორიოდ კილომეტრში, ვინ იცის, კიდევ რამდენ სოფელში ელიან ასე „ცის მანანასავით“ ახალ სკოლას და სასწავლო პირობებს, კიდევ რამდენი სკოლა არსებობს ასე „გზას ვამბობ, თორემ რა გზას“ პრინციპით... ბუნებრივია, ხელისუფლებაც თავს მოიწონებს ამ სკოლის აშენებით – რაც გააკეთეს, მართლაც დასაფასებელია, თუმცა 21-ე საუკუნეში მსგავსი მარტივი რამ რამდენადაა თავის მოსახლეობის, ეს საკამათოა... როცა ასეთი ისტორიის, ასეთი ბუნების მქონე სოფელი შენს თვალწინ იცლება, ეს დანაშაული უფრო გვეგონია.

ახალი სკოლის შესახებ, სოფლის ცხოვრებაში მის მნიშვნელობას და ზოგადად, ამ ისტორიული სოფლის შესახებ გვესაუბრებიან სკოლის ახლანდელი და ყოფილი დირექტორები – თენგიზ ოსეფაიშვილი და ცილა ჭიხვარია.

თენგიზ ოსეფაიშვილი, ერკეთის საჯარო სკოლის დირექტორი: „სოფლიდან ბევრი ბავშვია წასული რაიონის სხვადასხვა სკოლაში. მოგეხსენებათ, სკოლა ალტერნატიულ შენობაში იყო შეხიზნული, მშობელსაც და მოსწავლესაც კი იქ ურჩევნიათ, სადაც უკეთესი პირობებია. როცა მოუწესრიგებელი გარემოა, ვერც გამტყუნებ უკეთეს ადგილას წასვლის გამო, ახლა კი, რაკი აშენდა ახალი სკოლა, ვფიქრობ, აღარ გაუჩნდებათ სურვილი, დატოვონ მშობლიური სკოლა, მშობლიური სოფელი და სხვაგან გადავიდნენ. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი სიახლეა ამ სოფლის ცხოვრებაში, რაც შეაჩერებს მიგრაციას, ბავშვთა ვადინებას სოფლიდან. სკოლის ძველი შენობა, სადაც ჯერ ისევ ვართ, არასტან-

დარტულია, გატიხრული ოთახებია, ფართიც პატარაა და საკლასო ოთახებიც, თუმცა ამაზე უარესი პირობებიც არსებობს, როცა ალტერნატიულ შენობაში შედიან ან ქირაობენ. ჩვენ ნაქირავებიც არ გვქონდა, მერამ უზურფრუქტით გამოგვცა სარგებლობაში, უკეთესი პირობების შექმნა კი იქ არ შეიძლებოდა. კარგია, ახალი სკოლა რომ აშენდა, სადაც მოწესრიგებული იქნება ყველაფერი, მოსწავლეებიც უკეთეს პირობებში გააგრძელებენ სწავლას და მოსწავლეობა – მუშაობას. ორივეს უკეთესი პირობები ექნება. დღესდღეობით, ერკეთის საკრებულოში შემავალი ყველა სოფლიდან გვყავს მოსწავლეები – შუბანი, კოხი, ზემო და ქვემო ონჭიქედი, ზემო და ქვემო ერკეთი... მეზობელი იან-

ულიდანაც კი არიან ბავშვები, რომლებიც წლებს გადმოვიდნენ ჩვენთან, რაკი ახალი სკოლა შენდებოდა.

ვინაიდან სკოლა მცირეკონტინგენტისაა, ახალი შენობა 90 მოსწავლეს გაათვლილი, თუმცა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. ნაგებობაც საიმედოა და მდგრადი, მყარადაა ნაშენები, ყველაფერი გათვალისწინებული, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე შენობა: ნათელი საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, კომპიუტერების, მანდატურის, ექიმის, დამლაგებლის ოთახები, ფართი ბუფეტისთვის... ერთი სიტყვით, კარგი პროექტიცაა და ხარისხიანადაცაა ნაშენები. ძალიან კარგი ღია მოედანია ხელოვნური საფრით, კალათბურთის ფარები, საფეხბურთო კარები, განათება... ფეხბურთის თამაშზე შეიძლება, კალათბურთისა და ფრენბურთისა, ძველ სკოლაში კი ბავშვები დერეფანში დარბოდნენ – იქვე გზაც გადის და მოსწავლეებს გარეთ ვერ ვუშვებდით. არც ეზო გვქონდა, ახლა კი ეს პრობლემა მოიხსნება. ახალ სკოლას დახურული სპორტული დარბაზი არ აქვს, ალბათ, მცირე კონტინგენტის გამო არ შეიტანეს პროექტში.

მთელი შენობა, სველი წერტილების ჩათვლით, ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებისთვის, თუმცა ამჟამად სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არ გვყავს, ორი კია ისეთი, ვისაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობა სჭირდება.

ბუნებრივია, ამ პანდემიის ჩვენც გვეჭირდა, როგორც ყველას, მთელ ქვეყანაში, თუმცა რეგულაციებს ბოლომდე ვიცავდით.

დისტანციურ სწავლებაზე ჩვენც მოგვიხდა გადასვლა და თავიდან ცოტა კი გავიჭირდა, მაგრამ მერე მასწავლებლებმა იყოჩაღეს. მათ მართლაც დიდი შრომა ჩადეს ონლაინ გაკვეთილებში. თავიდან გავიჭირდა, რადგან ამის არც გამოცდილება გვქონდა და არც პირობები, მერე და მერე ტექნიკური საშუალებებიც მოაგვარეს და მშობლებიც დაგვიდგინეს გვერდში. თუმცა, ერთეულები მაინც დაგვრჩნენ, რომლებიც ინტერნეტის პრობლემების გამო ონლაინ გაკვეთილებში ვერ მონაწილეობდნენ. ერკეთის საკრებულოში ისეთი სოფლებიც შემოდიან, სადაც ინტერნეტი საერთოდ არ იჭერს, მაგალითად, კოხში, ზემო ონჭიქედში... ასეთ მოსწავლეებს პედაგოგები ხან ტელეფონით უკავშირდებოდნენ, ხან მესენჯერით, სკაიპით და სოციალური ქსელებით, ხან მატერიალურად აწვდიდნენ მასალას. გვქონდა შემთხვევები, როცა მასწავლებელი სახლში აკითხავდა მოსწავლეს და რადგან ოჯახში შესვლა არ შეიძლებოდა, ჭიშკართან დაუკიდებდა სამუშაო მასალას... ერთი სიტყვით, ვინმე საერთოდ რომ დარჩენილიყო სასწავლო პროცესის გარეშე, ასეთი არავინ ყოფილა, ხოლო ვინ როგორ ახერხებდა აქტიურობას და ჩართულობას, ეს მეორე საკითხია. პედაგოგები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ არც ერთი მოსწავლე არ დარჩენილიყო სასწავლო პროცესის მიღმა. მოგვიანებით ჩვენმა სამინისტრომ სპეციალური პლატფორმები შექმნა და ყველას ვიყენებდით. იმ საშუალებების დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის პედაგოგებს და მშობლებს, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ.“



ცილა ჭიხვარია, ერკეთის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი: „ჩვენს სოფელში პირველი სკოლა 1898 წელს გაიხსნა – ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც დაარსა ვაჭართა „პირველი გილიის“ წარმომადგენელმა, ვასილ სიხარულიძემ. მან მასწავლებლები მოიწვია ლანჩხუთიდან, ასევე იყო ქართულის მასწავლებელი ფოცია კალანდაძე ხიდისთავიდან, გრიგოლ როგავა – სკოლის მმართველი. მოგვიანებით, 7-წლიან სკოლად გადაკეთდა – შრომის სკოლა თურქაძე მსგავსი ერქვა, 1943 წელს კი საშუალო სკოლად გადაკეთდა და იმავე წელს, პირველი თაობა გამოუშვა. ყოველ შემთხვევაში, ზეპირგადმოცემით, ასეთი ინფორმა-

ცია გვაქვს, წერილობითი საბუთი კი არ გავაჩნია იმის მიუხედავად, რომ არქივშიც კი მოვიკითხეთ მონაცემები. ეს ცნობებიც იმ პირველი გამოშვების ერთ-ერთმა წევრმა, ამბროსი კობიძემ მოგვანოდა, რომელმაც გადმოგვცა თანაკლასელების სია, ვინც კი გაიხსენა.

სადაც ახლა ახალი სკოლა აშენდა, ადრე იქ ხის პატარა შენობა იდგა. მერე ერკეთის თემში შემავალ სოფლებში – ონჭიქედსა და შუბანში – მაშინდელი კოლმეურნეობები გაუქმდა და ამ ადმინისტრაციული შენობებით, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ – კანტორით ააშენეს უფრო დიდი მოცულობის ხის სკოლა. 1968 წელს ის დაშალეს და აგურის

დიდი შენობა ააგეს, მაშინდელი სტანდარტების შესაბამისად, ლაზარეთის ტიპის, რათა რაიმე ეპიდემიის საშიშროებისას ლაზარეთადაც გამოეყენებინათ. ვერ გეტყვით, რატომ შიშობდნენ ასე, მაგრამ სკოლას ჰქონდა დიდი დერეფნები, დიდი ოთახები, ანუ ისეთი პროექტი იყო, რომ საჭიროებისას საავადმყოფოდ გადაკეთებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ლამაზიც იყო და სკოლისთვისაც მოსახერხებელი, მაგრამ 1988 წელს იმ შენობიდან გამოსვლა მოგვიწია – ჯერ კიდევ წინა წლებში შენობას ბზარები გაუჩნდა. მოიყვანეს გეოლოგები და მათ დაასკვნეს, რომ შენობის ქვეშ, 23 მეტრის სიღრმეზე, წყალი გადიოდა. იქაურობას ხეები ნამდვილად

ესაზღვრება და პატარა ნაკადული მართლაც გადის, ჭაობიანი ადგილიცაა, თუმცა მერე ისიც დამტკიცდა, რომ შენობას არ ჰქონდა სარტყელი, ამასთან, იყო მძიმე გადახურვა – ორსართულიანი შენობას როგორც პირველ, ასევე მეორე სართულზე მძიმე „სინკარები“ ეწყო და კედლებიც დაიბზარა. ამიტომ, 1988 წელს, გამოვედით იქიდან და კოლმეურნეობის შენობაში შევედით. მას მერე, 31 წელიწადია, ველოდებით ახალ სკოლას. ხან რომელი ხელისუფლება დაგვპირდა, ხან რომელი მარშან კი, საბედნიეროდ, ეს საქმე ადგილიდან დაიძრა და საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდით. არ ვიცი, ვის სჭირდებოდა კოლმეურნეო-

რაპორტი

ბის იმ ყოფილი ადგილის დაფუძნება, სადაც სკოლა გვექონდა, მაგრამ გამგეობამ ახლანდელი სკოლის ცოტა ქვევით, ჭაობიან ადგილას გამოგვიყვანა სკოლისთვის ფართი და პროექტიც გავკეთდა, თუმცა მერე დაგვეხმარა ჩვენი მაშინდელი მაჟორიტარი ნინო ნილოსანი, რომ იმავე ტერიტორიაზე, სადაც ახლა ვართ, აშენებულყო ახალი სკოლა. მშენებლობა ძალიან სწრაფი ტემპით წარიმართა – შარშან იანვარში დაიწყო და პანდემია რომ არა, ალბათ, 2 თვით ადრე შევიდოდით. ძალიან კარგი შენობაა – ერთსართულიანი, მოსახერხებელი, გათვალისწინებულია 90 ბავშვზე, 9 საკლასო ოთახი და 3 კაბინეტ-ლაბორატორია, რომლებსაც, ალბათ, საკლასო ოთახებზე გამოვიყენებთ. როცა ამ სკოლის მშენებლობა დაიწყო, 54 მოსწავლე იყო, თუმცა ისიც დაგვათვალისწინეს, რამდენი ბავშვი იყო წასული ჩვენგან ჩოხატაურში – პირველ სკოლაში, ასევე, სამრევლოსა და გუთურში. სამწუხაროდ, ჩვენი ბავშვები სხვა სკოლებში გადავიდნენ, რადგან კომუნისტების კანტორაში გადასვლის შემდეგ დასაჯდომი ადგილიც არ გვექონდა, ზოგიერთ ოთახში მხოლოდ 3-4 ბავშვი ეტეოდა... ახალი სკოლის პროექტის შედგენისას ეს ყველაფერი გათვალისწინდა და ისიც გაითვალისწინეს, რომ საბავშვო ბაღშიც ბევრი ბავშვია. მაგალითად, შარშან პირველ კლასში 7 მოსწავლე შემოვიდა, წელს – 4, გაისად კი 9 მოსწავლე გვეყოლება. საწყისი კლასებიდან იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა, თორემ მე-12 კლასს წელს ერთი ბავშვი ამთავრებს. სამწუხაროდ, სოფელი მიგრაციულია, რაც არჩევნებზეც გამოჩნდა, ძირითადად, ასაკოვანი ხალხია. თუმცა სოფელში შინადასასოფლო გზებიც კეთდება, რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი გზაც კარგია, სოფელიც გაზიფიცირებულია და აქ არსებული დედათა მონასტერიც კარგი სტიმულია, მაგრამ სამუშაო ადგილები რომ არაა და სოფელში არაფერი იქმნება, „შემოდგომის აზნაურებივით“ ვართ – რასაც მოვიწვევთ, წლიდან წლამდე თუ მიგვეყვება, მაგარი ფაქტობაა.

ახალი სკოლა მიგრაციას ცოტათი მაინც შეაჩერებს, რადგან ეს დიდი სტიმულია: ჩვენგან სხვაგან გადასული რამდენიმე ბავშვი უკვე მობრუნდა; მეზობელ სოფელ იანე-

ულშიც რომ გაიგეს, სკოლა შენდებოდა, სექტემბრიდან ისინიც ჩვენთან მოვიდნენ, ბუკისციხეში აღარ წასულან. გაკვეთილები ჩვეულებრივ ტარდება საკლასო ოთახებში, 45-წუთიანი, ცხადია, რეგულაციების სრული დაცვით. მთელი ეს წლები ისე ვიყავით, სკოლაში ეზოც არ გვექონდა, მაგრამ ამას გავუძელით და გადავიტანეთ. მთელი ბედნიერება ისაა, რომ ახალ სკოლაში ეზო გვექნება, მშვენიერი სპორტული კომპლექსი გავკეთდა, სველი წერტილები ბიოსტანდარტისაა და ზოგადად, ახალი ტიპის პროექტია – ასეთი სკოლა ჩოხატაურის რაიონში არსად არ მინახავს, რისთვისაც დიდი მადლობა სამშენებლო კომპანიას.

ამ სკოლის ბევრი კურსდამთავრებული იმთავითვე იყო საზოგადოების გამორჩენილი წევრი. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ბევრი მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, მაგალითად, გრიგოლ მგალობლიშვილი. აქედან იყვნენ ძველი ბოლშევიკები – კვლანდაძეები, რამიშვილები; ამ სოფელში, ახალგაზრდობაში, სტალინიცაა ნამყოფი, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კობა ერქვა. სევერიან კვლანდაძემ მოიყვანა და აქაურ ეკლესიაში იმალეობდა. ეს სკოლა დაამთავრეს ანტონ შაქარიშვილმა, დიმიტრი მდივანმა, მიხეილ რამიშვილმა – დიდებული ადამიანები, თამაობიდან დაწყებული, ყველგან რომ გამოდგებოდნენ და სოფელი რომ აფასებდა, ისეთი პიროვნებები. ჩვენი სკოლის აღზრდილია საქართველოს პარლამენტის ორი მონევვის დეპუტატი დავით ჟღერტი და კიდევ უამრავი ადამიანი.

ძველად ჩვენს სოფელში ბაზრობაც იმართებოდა, ისეთი მდებარეობა აქვს, აქედან სურების ხეობა ჩანს, იქით – ჩოხატაური და მთელი ხეობა ოზურგეთამდე. სოფელში იმართებოდა სახალხო დღესასწაული ალექსანდრე ჩვენი სოფელი უძველესი დროიდან მოიხსენიება. პროფესორი იური სიხარულიძე წერს, რომ მისი სახელი მომდინარეობს ერკინა, ანუ რკინადან – აქ რკინის მოპოვებამდამუშავება ხდებოდა, თუმცა სად, ეს არ ვიცით, რადგან დღეს სოფელში მსგავსი არაფერია. სამაგიეროდ, ეკლესიაში სამკურნალო წყალია, რომელსაც უშვილობის ნამალად



მიჩნევენ და იქ დღესაც დადიან უშვილო წყვილები.

ბაზილიკის ტიპის ყოფილა, დღეს კი ოთხსართულიანი შენობაა.

დედათა მონასტერი დიდ როლს ასრულებს სოფლის სულიერ ცხოვრებაში. იქ ბატარიარქივ ორჯერაა ნამყოფი. ძალიან მშრომელი დედაოები ჰყავთ, რომლებმაც იქაურობა ბალნარად აქციეს – მოაშენეს ფუტკრები, პირუტყვი, საკუთარი ნარმოვებიც აქვთ, ნამცხვრებს აცხოვენ და რაიონულ ცენტრში ჰყიდიან. მართლაც მისაბაძნი არიან, რწმუნაც გააძლიერეს და მრევლიც ბევრი ჰყავთ. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ეკლესია აშენებული უნდა იყოს მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, თუმცა იქაურები ამენების თარიღად მე-9 საუკუნეს ასახელებენ. სამშენებლო ქვები გუბაზოლის ნაპირიდან მოუზიდავთ. ამბობენ, ხელიდან ხელში გადადიოდა ქვები და ისე ამოიტანეს, მთელი სოფლები გამოსულა მშენებლობაზე. თავდაპირველი ნაგებობა

ეკლესია ზარზმისგან გამოსულ ძმებ ბალაძეებს აუშენებიათ – მოსეს, ენუქის და ელიას. „ჩვენ სამთა ძმთა ბალაძეთა/მოსე, ექნუ, ელია, / ზარზმის ტაძარი დავადეთ/შევიქნეთ ერკეთელია“ – ასეთი ლექსი არსებობს ამ ტაძრის შესახებ. ამ ძმთაგან ერთი დარჩენილა მგალობლად და მისი შთამომავლები არიან მგალობლიშვილები, ის ორნი კი სხვაგან განაწილებულან. უკანასკნელი მღვდელიც მგალობლიშვილი იყო – ნიკოლოზი, იქვეა დასაფლავებული, ეკლესიის ეზოში. ჩვენი სკოლაც ისევე გვინდა გავალამაზოთ, როგორც ეს ეკლესია მორთეს დედებმა, უკვე ყვავილებიც დავრგეთ, სხვა მცენარეებიც, გურიის გუბერნატორიც გვესტუმრა და ბავშვებთან ერთად თავისი ხელით დარგო ნარგავები.

თვალსაზრისი

#არბუმენტირებულისა განსჯისა და მოსწავლეთა/აზიზურისა განსჯისა და მოსწავლეთა/აზიზურისა გამოყენებისთვის



გიორგი ჭაუჭიძე

გავრცელებულია მოსაზრება, რომ მშობლების დახმარება მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა წარმატებაში და ამიტომ ყველა მოსწავლეს მშობელი უნდა ეხმარებოდეს საშინაო დავალებების მომზადებაში.

მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ მშობლების როლი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სამეცადინო პირობების შექმნით და არა მოსწავლეების დავალებების მომზადებაში დახმარებით.

მასწავლებლებმა უნდა გაცნობიერონ, რომ მშობლები მათი საშინაო დამხმარებელი/ასისტენტები არ არიან და მოსწავლეებს ისეთი დავალებები უნდა მისცენ, რომლებსაც ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად გაართმევენ თავს. თუკი მოსწავლე დახმარების გარეშე ვერ ახერხებს საშინაო დავალების შესრულებას, ის სათანადოდ მაინც ვერ აითვისებს შესასწავლ საკითხს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მშობელთა უმრავლესობა დაკავებულია, მათ თავიანთი სამსახური აქვთ და არ სცალიათ ბავშვებს დაეხმარონ საშინაო დავალებების მომზადებაში. შესაბამისად, ასეთი ბავშვების ინტერესები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ასეთი მშობლები არცთუ იშვიათად მასწავლებლებისგან ბევრი დავალების მიცემას ითხოვენ ხოლმე, – ბავშვი დაკავებული იქნებაო. ეს მოთხოვნაც განაპირობებს საშინაო დავალებების გართულებას, რაც მოსწავლეს კიდევ უფრო უძლურს ხდის და ასე იკვრება ერ-

თვარი ჯადოსნური წრე.

ალსანიშნავია ერთი მომენტიც: მშობელთა დიდ ნაწილს არ აქვს სათანადო კომპეტენცია, რომ სხვადასხვა საგნის (ქართული, მათემატიკა, ბუნება, ინგლისური...) საკითხები სათანადოდ ესმოდეს და დახმარება აღმოუჩინოს ბავშვებს. ამ მიზეზის გამოც ისინი ვერ მოახერხებენ ბავშვების დახმარებას.

ზოგიერთი, მშობელიც და მასწავლებელიც, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიიჩნევენ, რომ სანამ ბავშვი დამოუკიდებლად მუშაობას მიეჩვეოდეს, მისთვის დახმარება აუცილებელია... ვფიქრობ, ამ შეხედულებას ორი ფაქტორი განაპირობებს: 1. საკუთარი გამოცდილება სასკოლო ასაკში; 2. განსხვავებული პრაქტიკის მოსინჯვის შიში. ამ ფაქტორების დაძლევის შემთხვევაში, ასეთი მშობლებიც შეეცდებიან, დამოუკიდებელ მუშაობას მიაჩვიონ შვილებს.

მშობელთა, მასწავლებელთა და ექსპერტთა ნაწილი საშინაო დავალებების შესრულების არაეფექტიანობაში მასწავლებლების მხრიდან მიცემულ არასაკმარის უკუკავშირზე ამახვილებენ ყურადღებას. ამ შემთხვევაშიც გადაჭარბებულად გვეჩვენება მათი მოლოდინი – მასწავლებელი ვერ მოახერხებს, თითოეულ მოსწავლეს მიაწოდოს/მისცეს უკუკავშირი იმის შესახებ, თუ რა არის კარგად გაკეთებული დავალებაში, რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ უნდა გაუმჯობესდეს ეს მხარე. სრულიად საკმარისი იქნება, თუკი მასწავლებელი შემოიფარგლება საერთო უკუკავშირით, რომელიც მიმართული იქნება გამოკვეთილი დაუძლეველი კომპონენტების განმარტებისკენ. შესაძლებელია ამისგანაც შეიკავოს თავი მასწავლებელმა და დაკმაყოფილდეს პრობლემური/გასაუმჯობესებელი მხარეების ჩანიშნვით, მომავალში სასწავლო პროცესში

ხელახლა დამუშავების მიზნით.

ჩვენი პოზიცია არ გულისხმობს მშობელთა (და/ან ბებია-ბაბუათა, ბიძა-დეიდათა...) სასწავლო პროცესისგან მოწყვეტას. არა. თუმცა ამისთვის ისეთი დავალებების მოფიქრებაა საჭირო, რომელშიც მშობელს თავისი განსაზღვრული როლი ექნება. მაგალითად,

- ✓ ნაუკითხე მშობელს ან სხვა ოჯახის წევრს იგავი „ძუნწი და ოქრო“ და უპასუხე მის მიერ დასმულ სამ შეკითხვას.
- ✓ დაუსვი შენ მიერ მოფიქრებული შეკითხვები ოჯახის წევრს/წევრებს და ჩაინერე მათი პასუხები...

ასეთ შემთხვევაში, მშობელს თავისი კონკრეტული, წინასწარგანზრახული როლი ექნება და, შესაძლებლობის ფარგლებში, მიიღებს კიდევ მონაწილეობას შვილის სწავლებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მშობლების როლი არ უნდა იყოს გადამწყვეტი მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების შესრულების საქმეში.



P. S. ესეში გამოყენებული დავალებები მოყვანილია „ელვის“ წიგნიდან #დიიდიწუნუ. ამავე წიგნიდანაა ულიანა მესხისული ილუსტრაციაც, თუ როგორ იწერს წუნუ მამას პასუხებს. მალე მაგიდასთან გადასდებიან – არ გვეგონოთ, მავნე ჩვეულებისკენ ბიძგება იყოს წიგნი...

სააუზრობი ლიტერატურაზე

საუბი ახალი...

ახალს არაფერს ვიჭყვი, თუ გავიხსენებ, როგორ გვეხმარება მშობლებსა და მასწავლებლებს ზღაპრები, რომ ბავშვებს ზოგადი წარმოდგენა შეეუქმნათ რეალობაზე, განვუვითაროთ წარმოსახვის, ფანტაზიის, ლოგიკური აზროვნების უნარი, გავუმდიდროთ ლექსიკური მარაგი, მოვამზადოთ მომავალი ცხოვრებისათვის, გარკვეულ ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში შევეწყობოთ ხელი...(1)

ალარ გავაგრძელებ ზღაპრის სიკეთეზე საუბარს, მხოლოდ ერთ ზღაპარს გავიხსენებ, კეთილი მეზღაპრის - გურამ პეტრიაშვილის „პატარა დინოზავრს“. მასწავლებლები დამეთანხმებიან, რამდენად ბევრ რამეზე შეგვიძლია დავაფიქროთ ბავშვები ამ ზღაპრის წყალობით, მაგრამ ამჯერად მის მხოლოდ ერთ ასპექტს შევეხები - ზღაპარი, როგორც საშუალება საზოგადოების ცხოვრების წესზე დასაფიქრებლად.

„პატარა დინოზავრი“ დინოზავრების ყოფის აღწერით იწყება:

„მინდორზე დინოზავრები ძოვდნენ ბალახს...
სიზარმაცით გათანგულეს განძრევაც ეზარებოდათ. იდგნენ და მხოლოდ გრძელ კისრებს ინვდიდნენ აქეთ-იქით. მაშინლა გადადგამდნენ რამდენიმე ნაბიჯს, როცა თავის ირგვლივ მთლად მოატიტვლებდნენ ბალახისაგან მინას.

ძოვდნენ წყნარად.
ყბების ქნევით ტკებოდნენ.
არ ჩქარობდნენ. ან კი სად ეჩქარებოდათ, ბალახი თავზე საყრელად ჰქონდათ.
გადიოდა დრო.“

დიახ, ასე გადის დროც ადამიანთა საზოგადოებაში, ჭამა და ძილი რომ უქცევიათ მთავარ საქმეებად - ერთფეროვნად, უსახურად, მომბაზვრებლად.

იქ, დინოზავრთა „საზოგადოებაში“, „იბადებოდნენ დინოზავრები, სწავლობდნენ ბალახის ძოვას, იქცეოდნენ დიდ დინოზავრებად და ძოვდნენ მშვიდად, აუჩქარებლად“.

აქ, ადამიანთა საზოგადოებაშიც, ასეა - იბადებიან ადამიანებიც, სწავლობენ ჭამას, იზრდებიან და ამ ჭამა-ძილი გადის მათი ცხოვრებაც, დინჯად და აუჩქარებლად. მაგრამ პროგრესს ხომ ერთფეროვნებასთან შეუგუებლობა, სიახლეების წყურვილი, ცნობისმოყვარეობა იწვევს.

დინოზავრების „საზოგადოებაში“ ეს ყველაფერი პატარა დინოზავრმა დაინყო: „მოულოდნელად ძოვა შეწყვიტა და თავი მაღლა ასწია.

ასწია თავი, ნელა ამართა კისერი.
„უჰ, რა კარგი ყოფილა, თავს რომ აინვდი და მაღლა აიხედავ!“

ადამიანთა საზოგადოებაშიც ასეა - ყოფითი პრობლემებით გულგამოხრულებს, საკუთარ სოროებში მოფუსფუსებს, საკუთარ „გეჯასა და სალაფას“ ჩაჩერებულებს, გვაინყდება ხოლმე ცისკენ ახედვა, „მინას ჩაჩერებულვართ“, რადგანაც „ზეცა წავგართვეს ძალით“, ან იქნებ, ჩვენვე წავართვით ჩვენვე თავებს...

კიდევ ერთი მსგავსება ადამიანთა ყოფასთან - კითხვა გაუჩნდა პატარა დინოზავრს, რა იყო დიდ ლურჯ თაღზე მგო-

რავი ნითელი ბურთი. დედამ არ უბასუხა (არც გაუგია შვილის შეკითხვა, სად ეცალა? - გამალებით ძოვდა ბალახს), არც სხვა დინოზავრებმა გასცეს პასუხი (ან ისინი როგორღა გაიგებდნენ - ბალახებში თავჩარგულთ, თავანუული „პატარა მოძის“ ხმა სად ჩასწვდებოდათ?).

არავინ უბასუხა ცნობისმოყვარე პატარა დინოზავრს, როგორც აქ, ადამიანთა საზოგადოებაში, ყველას რომ თავისი საზრუნავ-სადარდებელი აქვს და სიახლით რომ დაინტერესდები, ან რამის შეცვლა მოგინდება უსახური ერთფეროვნებისაგან თავის დასაღწევად, „რად არ გასვენებს გამჩენიო“, - ხშირად მოგაძახებენ ხოლმე.

არც ზღაპრის სამყაროსათვისაა უცხო განსხვავებული აბუება (ჩვენ რომ ბულინგად მოვიხსენიებთ ხოლმე და ეს კარგი ქართული სიტყვა აღარც გვახსენდება!), დაცინვა, არაფრად ჩაგდება: „დილით დინოზავრებმა სიცილი დააყარეს პატარას, ეგ რა სულელური ხალი გაქვს შუბლზე.

ხარხარებდნენ დინოზავრები.
თან იმაზეც ეცინებოდათ, ამ სულელს მაღლა რომ აუნევი თავი, განა მაღლა ბალახი არისო?

იცინოდნენ დინოზავრები.
მერე უცებ ბალახი მოაგონდათ. ეჰ, მოვცდითო, თქვეს და გამალებული შეუდგნენ ძოვას.“

საკუთარი დედაც ვერ გუობს განსხვავებულ შვილს: „დედა დინოზავრი გაბრაზდა, რაღა ჩემი შვილი გამოდგა ასეთი სულელიო.“ აბა, რამდენი უფროსისაგან გცმენია განსხვავებულად მოფიქრებულ, სხვებისაგან გამოჩენულ ბავშვზე ნათქვამი - საჭმელი არ აკლია და სასმელი, ჩასაცმელი და დასახური, აბა, ეს რა აიკვიატაო (ვინ იცის, ადამიანთა სამყაროში რას ჩავითვლიან განსხვავებულობად და როგორ იარლიყებსაც მოგანებენ ხოლმე).



„პატარა დინოზავრი“ კიდევ ერთი პარალელისათვისაც საინტერესოა ბავშვებთან მუშაობისას - ბევრ ბავშვს, დიდი ენთუზიაზმით რომ იწყებს ხოლმე ახალ საქმეს, გვიჩვენებს, მალევე რომ განუღებია ეს ენთუზიაზმი, პირველივე დაბრკოლებაზე „ჩამქალა“, ხელები ჩამოუყრია, არაფერი გამომივარო, - ესეც კი უფიქრია. პატარა დინოზავრმა კი არც დაცინვა ჩაგდო რამდენ, არც დედის აკრძალვასა და წინააღმ-



დეგობას შეუშინდა, არც დადევნებულ დინოზავრებს, არც მარტოდმარტო ხეტილისას განცდილ შიმშილ-წყურვილს, მიზანსაც ამიტომ მიაღწია - ნითელ ბურთს რომ მზე ერქვა, ესეც გაიგო, ოქროსფერლაქებიან, კისერწანვდილ ჟირაფადაც იქცა, ყველას სიყვარულიც მოიპოვა და ცხოვრებაც ისე განავრძო, რომ სხვისთვისაც იმედად იქცა:

„ყველას უყვარს იგი.
ყველაზე მეტად კი ჩიტებს უყვართ, რადგან, როცა ღრუბლები დაფარავენ ცას, დაღონებული ჩიტები უყურებენ ჟირაფის მზისფერ ლაქებს და იმედინად გალობენ.“

ეს ზღაპარიც იმედის გაჩენაში გვეხმარება, კიდევ ერთხელ შეასხენებს ბავშვებს მარტივად, საინტერესოდ და ლამაზად, რომ მაღლა ახედვა არ უნდა დაგვაინყდეს, ერთფეროვნებას არ უნდა შევეგუოთ, ჩვენ თვითონ უნდა ვეცადოთ, გავაფერადოთ ნაცრისფერი ყოფა და ამ გზაზე თუ ბევრი დაბრკოლება შეგვხვდება, ბევრი დაგვცინებს, ბევრი კვანტის დადებასაც ეცდება, ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგან „ცხოვრებას კი უყვარს გათანაბრება“, მაღლა ამოხედვა კი უშძიმით და ანუხებით“, საკუთარ სიმძალესაც არ გააპატიებენ ხოლმე, მაგრამ ამიტომ ფრთები არ უნდა დაიჭრა და ოცნება არ უნდა დათმო! (ზურაბ კაკაბაძე).

ლელია ხონელიძე
სსიპ ქ. ფოთის ილ. ჭავჭავაძის სახელობის
№5 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

დამონებული ლიტერატურა:
1) ქეთევან ოსიაშვილი, რატომ უნდა ნაუკუთხოთ ბავშვებს ზღაპრები, 26.03.2019, ინტერნეტურნალი „მასწავლებელი“.
2) გურამ პეტრიაშვილი, „პატარა დინოზავრი“, ნიგნში: ქართული ლიტერატურა, V კლასი (ავტორ-შემდგენლები: ვ. როდონია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი).

ფონდი „სოხუმი“

ახალგაზრდობთან მუშაობა ახალ ეტაკზე გაღლის

ფონდმა „სოხუმი“, პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს 10 ქალაქში (ქობულეთი, სენაკი, წალენჯიხა, ზუგდიდი, სამტრედია, ვანი, თერჯოლა, ტყიბული, ბლადათი) ახალგაზრდული ცენტრების დაარსება დაიწყო. ადგილობრივ თვითმმართველობებსა და რესურსცენტრებთან შეთანხმებით, ფონდი თანამშრომლობს ახალგაზრდულ დეპარტამენტებთან, რის საფუძველზეც იქმნება ახალგაზრდების გაძლიერების ცენტრები.

მოსწავლეებისთვის, ყოველთვიურად, ჩატარდება 5-თვიანი სატრენინგო კურსი ლიდერობის, კონფლიქტების მართვის და ძალადობის საკითხებზე. პროექტის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ბულინგის პრევენცია. აღნიშნულ მიმართულებას უძღვევა ტრენინგი ბექა ფოცხვერია. შეხვედრებისას განიხილება შემდეგი საკითხები: ბულინგის გამომწვევი მიზეზები, ფორმები, შედეგები, გადაჭრის გზები, ერთ-ერთი შეხვედრა სამოქალაქო აქტივიზმისა და ლიდერობის შესახებ საუბარს ეთმობა. შეხვედრას სხვადასხვა სკოლის 20 ახალ-

გაზრდა ესწრება. მიღებული ინფორმაციის შემდეგ უკვე თავად ახალგაზრდები, თავიანთ სკოლებში, ატარებენ მსგავსი სახის საინფორმაციო შეხვედრებს. „მე, როგორც ტრენერი, ვფიქრობ, რომ ბულინგის პრობლემის მოგვარება თუ ვინმეს შეუძლია, ეს სწორედ ახალგაზრდობაა. ამისთვის კი აუცილებელია გავზარდოთ მათი მოტივაცია, მოვახდინოთ ინფორმირება და თითოეულ მათგანს დავანახოთ მისი როლი, მნიშვნელობა. თუკი ყოველივე ამას შევძლებთ და გავაერთიანებთ ჩვენს მომავალ თაობას, არა მარტო გადავჭრით ბულინგის პრობლემას, არამედ შევძლებთ, სიტყვა „ბულინგი“ საერთოდ ამოვიღოთ ხმარებიდან“ - ამბობს ბექა ფოცხვერია.

როლოური თამაშის მნიშვნელობაზე გამაზვილა ყურადღება ტრენერმა, ნინო ჭაბუკიანი: „მოსწავლეები თავად, დამოუკიდებლად დგამენ სცენებს ძალადობის შესახებ. მაგალითად, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობაზე. ვფიქრობ, ეს თამაში უდიდეს როლს ასრულებს თავად ბავშვების ცნობიერებაში ძალადობის პრევენციისათვის. მათ საშინაო დავალებებს ვაძლევთ, რომ შემდეგ საკუთარ სკოლებში ჩაატარონ იგივე თამაშები. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული მსგავსი შეხვედრები მოსწავლეებს განათლების მიღების ძალიან კარგ საფუძველს აძლევს. მათ უჩნდებათ სურვილი, იყვნენ ინფორმირებულები, მეტად განათლებულები და ამასთან, იძენენ სხვადასხვა უნარს, უვითარდებიან მოსმენისა და დისკუსიის კულტურა.“

კონფლიქტოლოგმა, ლელა შენგელიამ ფონდი „სოხუმის“ მუშაობის შედეგებზე ისაუბრა: „ჩვენ სკოლებთან მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება გვაქვს. სწორედ ამ მუშაობის შედეგია ის, რომ სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები გვენდობიან. ფონდი „სოხუმის“ სახელი დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, მთელი საქართველოს მასშტაბით. როდესაც ვამბობთ, რომ ამ ორგანიზაციიდან ვართ და ვაპირებთ ახალგაზრდობთან მუშაობას კონკრეტულ საკითხებზე, სიამოვნებით გვთანხმდებიან, რადგან იციან, რომ ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის პოზიტიურ შედეგებზეა ორიენტირებული.“

უკვე გაიმართა ტრენინგები ზუგდიდში, თერჯოლაში, წალენჯიხაში, სამტრედიაში და ქობულეთში. მარია გობეჩია



და ბექა სორდია ზუგდიდის მე-9 საჯარო სკოლის მეათეკლასელები არიან. კონფლიქტის თემაზე მიღებული ცოდნა მათ თავიანთი სკოლის მეშვიდეკლასელებს გაუზიარეს.

DƏRNƏK „GƏNC TƏBİƏTÇİLƏR“



სსიპ ქ. ბარდავის №3 საჯარო სკოლაში განხორციელდა „ნორჩ ნატურალისტთა“ წრე, რომელსაც ამავე სკოლის პედაგოგი სემდა შხვერიძე ხელმძღვანელობს. გთავაზობთ ინფორმაციას წრის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

I. Təşkilatçı müəllim: Sevda Şahverdiyeva.

II. Siyahı: Aydamirova Nərin, Əliyev Ramin, Əsgərova Nana, Həsənova Züleyxa, Həsənov Aykut, Həsənov İbrahim, Eyyubova Zəhra, Zeynalova Lali, İsayeva Dəniz, Yusubov Yunis, Mustafayev Əsgər, Rzayeva Mələk, Rzayeva Safiya, Fətullayev Eltun

III. Bu dərnekdə şagirdlər nə öyrənəcəklər?

Dərnek 3-cü sinif şagirdlər üçün nəzərdə tutulur. Birinci semestr əhatə edəcək. Dərnekdə şagirdlərin sıx əməkdaşlığı yaranır, onlarda təbiətə maraq oyanacaq. Eyni zamanda əməyə sevgi, ətraf aləmin qorunması, tullantılardan müxtəlif əşyaların düzəldilməsi kimi vərdişlərə yiyələnəcəklər.

Məşğələdə yaradıcı əmək zamanı şagirdlərdə əməkdaşlıqla bərabər incəsənətə, təbiətə maraq oyanır, estetik hissə inkişafına zəmin yaradır. Şagirdlərdə səbri, dözümlü artırır, xalqımızın, Vətənimizin adət-ənənəsini daha dərindən öyrənməyə xidmət edir.

Eyni zamanda ətraf aləmdə olan gözəllikləri daha da dərindən dərk edirlər.

IV. Dərnekəyin mövzusu və məqsədi:

Dərnekdə güllüklük, bağçılıq, bitki və heyvanların həyatı haqqında məlumatlara da rast gələcəyik. Əsas məqsədi şagirdlərdə əməkdaşlığın inkişafı, əməyə məhəbbət, anamız Yerin qayğısıdır. Şagirdlər təbii materiallardan istifadə edərək estetik və bədii zövqlərini inkişaf etdirir. Öz vərdiş və bacarıqlarını aşkara çıxarmağıma yardım göstərirlər.

Təbii materiallardan məhsul istehsal etməyi öyrənirlər. Təbii materiallardan məhsul istehsal edərkən, qrupda müstəqil olaraq kompozisiya, struktur və texnoloji tapşırıqları yerinə yetirmək, öz məhsullarının dizaynı, dekorasiyası üzərində işləmək imkanı verir.

V. RESURLAR

Rəngli karandaşlar, kağızlar, yarpaqlar, taxta, yapışqanlar, un, üzüm şirəsi və s. lazımlı olan məmulatlar.

VI. MONİTORİNG

Dərnekəyin planı, məqsədi və məzmunu ilə əməkdaşlarımı tanış edirəm. Onların da fikirlərini alıram. Müdiriyyət tərəfindən dərnekəyin zamanını və keçirəcəyim yer haqqında məlumat alıram. Eyni zamanda valideynləri də tanış edirəm. Əməkdaşlarımdan bir çox məsləhətlər alıram.



VII. PLAN:

№	Mövzu	saat	Həftə	resursQeyd
1	Giriş dərsləri	1	20.09.2019	Karandaş, yapışqan, rəngli kağızlar
2	Qurudulmuş bitkilərlə işləyirik	2	27.09-4.10.2019	Yarpaq və boyalar
3	Təbii materiallardan tətbiqlər	2	11-18.10.2019	Yarpaqlar, rəngli kağız, yapışqan və flamasterlər
4	Güllülər	1	25.10.2019	Rəngli boya və çiçək quruları
5	Çuçxelanın hazırlanması	2	1-8.11.2019	Un, üzüm şirəsi
6	Ekodizayn	1	15.11.2019	Plastik şüşə, kompüter diski, yapışqan
7	Konuslardan, qoz-fındıq və s. materiallardan miniatürələr	1	22.11.2019	Qoz, fındıq, yapışqan
8	Bitki materiallarından hazırlanan həcmli məhsullar	1	29.11.2019	Şkillər, panellər Ekskursiyaya getmək
9	Quş yuvalarının hazırlanması	1	6.12.2019	Taxta, mismar, yapışqan, şkillər
10	Yeni il və milad çiçəyi Sərgi	2	13-20.12.2019	Rəngli və parlaq kağızlar, yapışqan və s

1. GİRİŞ DƏRSLƏRİ

Uşaqların dərnekəyə cəlb edilməsi. Dərnekə tanışlıq. Tapşırıqlar haqqında məlumat.

Praktiki məşğələlər: Ekskursiyalar təşkil etmək.

2. QURUDULMUŞ BİTKİLƏRƏRLƏ İŞLƏYİRİK.

Materialın hazırlanması üsulları. Toplanması, yeri və zamanı. Çiçəklər və yarpaqların qurutma üsulları. Qurudulmuş materialların saxlanması. Həcmli qurutma. Su anbarları, tarlaları və çəmənlikləri bitki aləmi. Meşənin dekorativ bitkiləri.

Bitkilərin rəng və formasının davamlı qorunması üçün şərait. Materialların rənglərinə görə qruplaşması. Kompozisiyalar, panellər, bəzək əşyaları tərtib etmək texnikası. Köməkçi vasitə. Praktiki məşğələ. Təbii materialları toplamaq üçün ekskursiyalar. Yarpaqlardan və boyalardan istifadə edərək şkillər yaratmaq. Viktorinalar keçirmək.

3. TƏBİİ MATERIALLARDAN TƏTBİQLƏR. Toxumdan, quru yarpaqlardan, çiçəklərdən tətbiq etmək üçün əsas üsullar.

Praktiki məşğələ. Yarpaqlardan çəmənliklər, kolye yaratmaq. Yarpaqlardan „Qızıl yarpaq“ yarışması keçirmək. „Yarpaq düşür“ tətbiqlər. Qurudulmuş yarpaqlardan bəzək əşyaları hazırlamaq. Yarpaqlardan mənzərə hazırlamaq.

4. GÜLLÜLƏR. Güllülüyün tarixi. Alətlər. Materialların hazırlanması. Çiçəklərin qurutulması və saxlanması. Natürmort, mənzərənin üslub və üsulları. Rənglər haqqında məlumat.

Praktiki məşğələ: Payıq buketi. „Məni unutma“, „Bir qayıqlı mənzərə“, „Ləçəkdə bir möcüzəyə bax“ yaradıcı iş. Sərgi.

5. ÇUÇXELANIN HAZIRLANMASI. Çuçxelanın hazırlanması qaydalarını izah etmək.

Praktiki məşğələ: lazımlı olan məmulatların alınması.

6. EKODİZAYN. Tullantılardan necə istifadə edək.

Praktiki məşğələ: Kokteyl samanlarından bir çiçək qabı. „Çiçəklər paradı“, şəffaf oyuncaqlar, plastik şüşələrin çəmənlikləri, „Şeirli qutu“ yaradıcılıq işi. Kompüter disklerinden şamdanlar hazırlamaq.

7. KONUSLARDAN. Qoz-fındıqdan və digər materiallardan miniatürələr hazırlamaq.

Xalq, sənət üsulları və sənətkarların əsərləri ilə tanışlıq. Alət və materialların iş üçün hazırlanması.

Praktiki məşğələ: Adam, quş və heyvanların hazırlanması. Biləzik, kulon və muncuqların hazırlanması. „Kəpənək“, bantların hazırlanması. „Təbiətin möcüzələri“ sərgisi.

8. Bitki materiallarından hazırlanan həcmli məhsullar.

Bitki materiallarından hazırlanan əşyaların tarixi haqqında. Qurudulmuş bitkilərin saxlanması. Quru bitki materialının şkilləri, panelləri.

Praktiki məşğələ: Açıq havada oyunlar. Sərgilər keçirmək. Təbiətə ekskursiyaya getmək.

9. Quş yuvalarının düzəldilməsi. Köçəri quşlar haqqında məlumat vermək. Qışlayan quşların növləri, yaşayış yerləri.

Praktiki məşğələ: Quş yuvası üçün lazımlı olan materialların toplanması.

10. YENİ İL VƏ MİLAD ÇİÇƏYİ. Yeni il və Milad bayramı haqqında məlumat. Yeni il ətənədi haqqında.

Praktiki məşğələ: Yaradıcı iş. Oyuncaqların hazırlanması.

Yeni il hədiyyələrinin hazırlanması. Yolka üçün müxtəlif oyuncaqlar.

USKOLLOVIN KAJOVANLARI

როგორ შევქმნათ ბავშვი სწავლის პროცესში


სწავლის პროცესში ბავშვის შექმნა აუცილებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, როგორ შევქმნათ სწორად და რა მომენტებს გავუხვებით ამ დროს ხაზი.

ჩვენ უნდა შევქმნათ ყველა ბავშვი. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ბავშვი განსხვავდება ერთმანეთისგან, ერთი მშობლის შვილებიც კი. ყველა მშობელი, ვისაც ერთზე მეტი შვილი ჰყავს, ადასტურებს ამას, რომ სახლში ორი თუ სამი სრულიად განსხვავებული არსებაა. ამიტომ მათი ინდივიდუალობები ძალიან განსხვავებულია. დასწავლის სტილიც და უნარებიც, ბუნებრივია, განსხვავებულია. ამიტომ ჩვენ არ უნდა შევქმნათ ბავშვი, ასე ვთქვათ, „არ“ ნაწილაკით, ასევე, არ უნდა შევქმნათ ასე: „შენ ხარ ჭკვიანი, შენ ხარ ნიჭიერი“; „აი, შენი ძმა/შენი და როგორი ჭკვიანი და ნიჭიერია“. ამით ჩვენ რას ვუსვამთ ხაზს, იმ უპირატესობას, რაც ბავშვის დამსახურება არ არის, თანდაყოლილია. ჩვენ უნდა შევქმნათ ის, რაც მისი დამსახურებაა. დაახლოებით ასე: მე ვაფასებ იმას, რამდენი დრო დახარჯე, როგორ მოინდომე. როგორც წესი, მონდომებას ჩვენ არასდროს არ ვაფასებთ იმიტომ, რომ ეს არ ჩანს. შეიძლება, ეს ბავშვი ისე კარგად არ სწავლობდეს, როგორც მე-

ორე, მაგრამ როგორ მოინდომე, ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ და, შესაბამისად, დავაფასოთ.

აქედან გამომდინარე, ასე ვაქებთ: „მე ძალიან მიხარია, რომ შენ ამაზე ბევრი დრო დახარჯე და ნახე, არ გამოგდია, მაგრამ ახლა უკეთ გამოგდის.“ ამით ჩვენ ორ რამეს ვაქებთ – ვაფასებთ და ვაქებთ ბავშვს მისი ძალისხმევით. და მეორე, რაც მთავარია, ჩვენ არ ვაძარებთ მას სხვა ბავშვებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მშობლებს გვიყვარს, როდესაც და-ძმას ერთმანეთს ვაძარებთ. ბავშვი მხოლოდ თავის თავს უნდა შევადაროთ: „ნახე, გუშინ თუ გუშინდინ, შენ ვერ დადიოდი ველოსიპედით და უკვე ისწავლე!“ „ნახე, შენ ვერ წერდი „ა“-ს და „ბ“-ს ასე ლამაზად, მაგრამ ახლა რა კარგად გამოგდის?!“ ჩვენ ვაძარებთ ბავშვს თავის თავს, მის შესაძლებლობებს. ასე გავუზრდით მას მოტივაციას.

პროექტი „მშობლები იზოლაციის დროს“



თამარ ვაგშიძე

რა უნდა ვიცოდეთ COVID-19-ის გავრცელების შესახებ

COVID-19 გავრცელების შესახებ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაეცა ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებული სტატიაში მიიღებთ, სადაც თარგმნილია ქვეყნის მიერ მიწოდებული უახლესი ინფორმაცია.

რა გლობალურ მუშაობას COVID-19-ის გავრცელება?

ვაქცინები დაავადების გამომწვევი ინფექციური აგენტების – ვირუსების, ბაქტერიების ან სხვა მიკროორგანიზმების იმიტაციის გზით მოქმედებს. ისინი ჩვენს იმუნურ სისტემას ინფექციის წინააღმდეგ სწრაფად და ეფექტურად რეაგირებას „ასწავლიან“.

ტრადიციულად, ეს მიიღწევა ორგანიზმში ინფექციური აგენტის დასუსტებული ფორმის შეყვანის გზით, რაც ჩვენს იმუნურ სისტემას მისი დამახასიათებელი საშუალებას აძლევს. ამის შედეგად, ჩვენს იმუნურ სისტემას შეუძლია სწრაფად იცნოს ინფექცია და ებრძოდეს მას მანამ, სანამ ავად გახვდება. COVID-19-ის საწინააღმდეგო ზოგიერთი ვაქცინა სწორედ ამ პრინციპითაა შექმნილი.

COVID-19-ის სხვა ვაქცინები ახალი მიდგომების გამოყენებით შემუშავდა. მათ მესენჯერ RNA ან mRNA ვაქცინებს უწოდებენ. ანტიგენების შეყვანის ნაცვლად (ანუ ნივთიერებისა, რომლის ზემოქმედებით ჩვენი იმუნური სისტემა ანტიბიოტებს წარმოქმნის), mRNA ვაქცინა ჩვენს ორგანიზმს გენეტიკურ კოდს სძენს, რომელიც იმუნურ სისტემას ანტიგენის გამოსამუშავებლად სჭირდება. mRNA ვაქცინის ტექნოლოგია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მუშაობდა. ეს ვაქცინები არ შეიცავს ცოცხალ ვირუსს და ზემოქმედებას არ ახდენს ადამიანის დნმ-ზე.

ვაქცინების მოქმედების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდს WHO.

არის თუ არა COVID-19-ის გავრცელება უსაფრთხო?

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის ვაქცინები ძალიან სწრაფად მუშაობდა, მათ კლინიკური კვლევების პროცესში მკაცრი ტესტირება უნდა გაეკეთებინათ იმის დასადასტურებლად, რომ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ უსაფრთხოებისა და ეფექტურობის სტანდარტებს აკმაყოფილებენ. მხოლოდ ამ სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ვაქცინა შეიძლება დამტკიცდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ეროვნული მარეგულირებელი სააგენტოების მიერ.

გაეროს ბავშვთა ფონდი ყიდულობს და ანვდის მხოლოდ იმ ვაქცინებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ უსაფრთხოებისა და ეფექტურობის კრიტერიუმებს და დამტკიცებულია მარეგულირებელი ორგანოების მიერ.

COVID-19-ის რომელი ვაქცინაა ჩემთვის საუკეთესო?

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებული ყველა ვაქცინა ძალზე ეფექტურია COVID-19-ის მძიმე დაავადებისგან დასაცავად. საუკეთესო ვაქცინა ისაა, რომელიც ყველაზე ხელმისაწვდომია თქვენთვის!

უფაქტურად ღვაწივს თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები ღვაწივების ახალი შტამებისგან?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ დღემდე დამტკიცებული ვაქცინები, სავარაუდოდ, გარკვეულწილად ახალი შტამებისგანაც იცავს. მსოფლიოს ექსპერტები გამოდგებით სწავლობენ ახალი შტამების ზემოქმედებას ვირუსის ქვეაზე, მათ შორის, მათ პოტენციურ ზემოქმედებას COVID-19 ვაქცინების ეფექტურობაზე.

თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ვაქცინა ნაკლებად ეფექტურია ერთი ან მეტი შტამის მიმართ, შესაძლებელი იქნება მისი შემადგენლობის შეცვლა აღნიშნული შტამებისგან დასაცავად. მომავალში შეიძლება საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა იმუნოზაციის პროცესში, როგორცაა განხორციელებული ვაქცინაციის გამოყენება და სხვა სიახლეების შემთხვევაში.

მაგრამ მანამდე მნიშვნელოვანია ავიცრათ და, ამავე დროს, განვაგრძოთ ზომების მიღება ვირუსის გავრცელების შესამცირებლად, რაც ვირუსის მუტაციის შანესაც შეამცირებს. ასეთი ზომებია ფიზიკური დისტანციის დაცვა, ნიღბების ტარება, კარგი ვენტილაცია, ხელის რეგულარული დაბანა და დროული მიმართვა სამედიცინო დახმარების მისაღებად დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში.

რა შედეგებზე არ უნდა გავიგონოთ COVID-19-ის აცრა?

თუ ჯანმრთელობის პრობლემების გამო თქვენ COVID-19-ის აცრის გაკეთებასთან დაკავშირებით გარკვეული შეკითხვები გაქვთ, მიმართეთ თქვენს ექიმს. დღეისათვის დადგენილია, რომ უარყოფითი ეფექტის თავიდან აცილების მიზნით, COVID-19-ის აცრა არ უნდა გაიკეთოს ჯანმრთელობის შემდეგი პრობლემების მქონე პირებმა:

– მათ, ვისაც ალერგიული რეაქცია აქვთ COVID-19-ის ვაქცინაში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

– მათ, ვინც ამჟამად ავადა ან COVID-19-ის სიმპტომები აქვთ (თუმცა, შეგიძლიათ გაიკეთოთ აცრა მას შემდეგ, რაც გამოჯანმრთელდებით და თქვენი ექიმი აცრის ნებართვას მოგცემთ).

საჭიროა თუ არა აცრა იმ შემთხვევაში, თუ COVID-19 უკვე გადაიტანეთ უკვე გადატანილი შემთხვევაში?

დიახ, იმუნოზაცია საჭიროა იმ შემთხვევაშიც კი, თუ COVID-19 უკვე გადაიტანეთ. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ისგან განკურნებულ ადამიანებს შეიძლება ვირუსის მიმართ ბუნებრივი იმუნოტეტი განუვითარდეთ, ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენ ხანს გრძელდება ის ან რამდენად ხარტ დაცული. ვაქცინაცია უფრო სიმძიმე დაცვას გთავაზობს.

უფაქტურად თუ არა ავიცრათ თუ გავფიქრებთ უკეთესი ვარიანტი?

მკვლევები ამჟამად სწავლობენ COVID-19-ის ვაქცინაციის გავლენას მეტყუარ ქალებზე, მაგრამ ამ დროისთვის ინფორმაცია ჯერ კიდევ ძალიან მცირეა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გვირჩევს მეტყუარ ქალების აცრას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვაქცინაციის პრიორიტეტულ ჯგუფში შედიან, მაგალითად მათთვის, ვინც ჯანდაცვის სფეროში მუშაობს. მეტყუარ კვება შეიძლება იმუნოზაციის შემდეგაც გაგრძელდეს და იგი თქვენი ბავშვის დაავადებისგან დაიცავს და ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად რჩება.

უფაქტურად თუ არა COVID-19-ის აცრის გაკეთება ირსულობის დროს?

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად COVID-19-ით მძიმედ დაავადების რისკი დაბალია, ორსულობა თქვენს რისკებს ზრდის.

COVID-19-ის ვაქცინით ორსული ქალების აცრის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის საკითხები ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია, მაგრამ არ არსებობს რაიმე ცნობილი მიზეზი, რომელიც ორსულთა ვაქცინაციით მიღებულ სარგებელს გადაწონის. ამის გამო, ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე, აცრა შეიძლება გაუკეთდეთ იმ ორსულ ქალებს, რომლებსაც COVID-19-ის ზემოქმედების მაღალი რისკი (მაგ., სამედიცინო მუშაობა) ან ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები აქვთ, რომლებიც COVID-19-ით მძიმედ დაავადების რისკს ქმნიან.

საჭიროა თუ არა გავფიქრებთ აცრა COVID-19-ის გავრცელებაში?

ბავშვების იმუნური სისტემა განსხვავდება ზრდასრულთა იმუნური სისტემისგან და შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მათი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც. დღეისათვის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული COVID-19 ვაქცინები არ არის რეკომენდებული 16-18 წლამდე ასაკის პირებისთვის მაშინაც კი, თუ ისინი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან. ბავშვებზე COVID-19-ის ვაქცინის ზემოქმედება შესწავლილი არ იყო ვაქცინების საწყისი კვლევების დროს. ამიტომაც, ამჟამად, COVID-19-ის წინააღმდეგ 16 წლამდე ასაკის ბავშვების ვაქცინაციის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შესახებ მონაცემები ძალიან მცირეა ან საერთოდ არ არსებობს. საჭიროა მეტი კვლევის ჩატარება. ჩვენ განვახლებთ ჩვენს რეკომენდაციებს მას შემდეგ, რაც ასეთი კვლევები ჩატარდება და მეტი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი.

ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ თქვენს ბავშვს რუტინული საბავშვო აცრები ჩაუტარდეს.

ბავშვთა ფონდი – სტატია გამოქვეყნდა 2020 წლის 28 თებერვალს და განახლდა 2021 წლის 6 აპრილს.

სამშობლო გაცვილი

7 ლარი

სამშობლო გაცვილი

12 ლარი

სამშობლო გაცვილი

10 ლარი

სამშობლო გაცვილი

9 ლარი

სისხლე მკითხველს

მასწავლებლის გამოსვლისთვის

27 ლარი

ტექსტის გააზრება

15 ლარი

ნიგონი თარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

პროფესიული

17 ლარი

სწავლების ინტერაქტიული მეთოდები

10 ლარი

ქართული (I-VII) მასწავლებლის გამოსვლისთვის

11 ლარი

პროფესიული უნარები

15 ლარი

პროფესიული უნარები

15 ლარი

სამშობლო გაცვილი

10 ლარი

სამშობლო გაცვილი

9 ლარი

სამშობლო გაცვილი

10 ლარი

სამშობლო გაცვილი

10 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირისხათ რაქონიტაზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:

555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23